ალია

N9 /2939/ 22 იანვარი 2014 წ ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან



## ვის ჩასვამენ 3 წლით ანძის განათების გამორთვის გამო?

## კანონით საკრებულო მერიის ვერც ერთ თანამშრომელს ვერ მოხსნის

**რა გზა მოძებნა უმრავლესობამ**



## რა ინტერესი აქვს საგანელიძეს I არხის სამეურვეო საბჭოში?



ალია ფოტო

**რის გამო დასცინიან „ნაციონალები“ მარგველაშვილს?**



## ახალგაზრდა უფლებადამცველები ბენზინის მაფიაზე დოკუმენტებს აგროვებენ





# კულუარები

## ახალი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი — გზა ფინანსური პოლიციიდან მთავარ პროკურატურამდე

## და... პირველი კომპრომატი





# ექსკლუზივი

## რატომ ჩამოაწერა მინისტრმა ხადურმა „თეგეტა-მოტორსს“ და „თიბისის“ ვალები?



რა რაოდენობის თანხა ჩამოაწერა ნოდარ ხადურმა „ნაციონალების“ დამფინანსებელ მსხვილ კომპანიებს და რის სანაცვლოდ? რატომ გაანებივრა მსხვილი ბიზნესმენები მინისტრმა, რომელიც გამუდმებით აცხადებს, რომ ბიუჯეტში საკმარისი თანხა არ არის? რას „აშავებს“ და რას „ათეთრებს“ ხადური?

ვრცლად 12 გვ.

# როგორ დაიცავს კუკავა თბილისელებს შსს-სგან?



რატომ ალაპარაკდა ფარულ მოსმენებზე? რა ინფორმაცია და დასკვნა აქვს და ვის დაბარებას აპირებს საკრებულოში კუკავა?

ვრცლად 6 გვ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი საზღვარგარეთ ვიზიტებს იწყებს



22 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიოში წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან. ასევე, პრემიერი შეხვდება მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელებს. დაგეგმილია შეხვედრა ჯორჯ სოროსთან. ასევე, შეხვედრებს გამართავს ისრაელის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

ირაკლი ღარიბაშვილი 31 იანვარს-2 თებერვალს მონაწილეობას მიიღებს მიუნხენის უსაფრთხოების 50-ე კონფერენციაში. (ინტერპრესნიუსი)

## მინისტრი ლარის კურსის გამყარებას პროგნოზირებს



საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლარის კურსის დასტაბილურებასა და გარკვეული მოცულობით გამყარებას პროგნოზირებს. მისი თქმით, გასული წლის პირველი ნახევარი ეკონომიკური ზრდის შეფერხებით გამოირჩეოდა, თუმცა ბოლო კვარტალში გამოცოცხლება აშკარა იყო.

„ამან გამოიწვია დოლარზე მოთხოვნის ზრდა, რასაც ლარის კურსის მერყეობა მოჰყვა. თუმცა, რეზერვები და ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა იძლევა გარანტიას, რომ კურსი არათუ დასტაბილურდება, არამედ შესაძლებელია, მისი შემცირება გარკვეული მოცულობით“, – აღნიშნა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

## ეკონომიკის სამინისტრო მერიას მოუწოდებს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მერიას საყვედურობს:

„20 იანვარს ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებითა და მათი დავალებით, გაითიშა თბილისის სატელევიზიო ანძის გარე განათება იმ მიზეზით, რომ, როგორც ეს ქალბატონ სევდია უგრეხელიძის განცხადებაშია ნათქვამი, მათ გადაწყვიტეს, გამოიყენონ ხერხი, რომელიც მიღებულია მსოფლიო პრაქტიკაში.

სატელევიზიო ანძის გარე განათება, გარდა იმისა, რომ გამოიყენება ქალაქის იერსახის წარმოჩენისთვის, მას ასევე პირდაპირი კავშირი აქვს საავიაციო უსაფრთხოებასთან. კერძოდ, შუქურის გათიშვამ, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, საფრთხე შეუქმნა უსაფრთხო ფრენებს და ამ პერიოდის განმავლობაში, ქართველი ავიამეთვალყურეები უსაფრთხოების დაცვის მაღალ პარამეტრებზე იყვნენ გადასულები.

საჰაერო ხომალდებს თბილისის თავზე ფრენის უფლება მიეცათ მხოლოდ სიმაღლისა და მარშრუტის შეცვლით. აღნიშნული კი, მართალია, ფრენის უსაფრთხოების დასაცავად საკმარისი იყო, თუმცა გაიზარდა საჰაერო ხომალდების ფრენის ხანგრძლივობა და ხომალდებს დასაშვებ ნორმაზე მეტი ვერტიკალური სისწრაფით მოუხდათ დაშვება, რასაც შეიძლებოდა უარყოფითად ემოქმედა მგზავრების კომფორტულ გადაადგილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ ქალაქ თბილისის მერიას, რომ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაძლოა, საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს ჩვენი მოქალაქეების პირადი ცხოვრებისა და მათი პირადი ინტერესებისთვის“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)




# ვის ჩასვამენ 3 წლით
# ანძის განათების გამორთვის გამო?

21 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომ სატელევიზიო ანძის განათების გამორთვა შეიცავს შანტაჟისა და პირდაპირი საბოტაჟის ნიშნებს, მსგავსი ქმედება ისჯება საქართველოს კანონმდებლობით. ანძის განათება პირდაპირ უკავშირდება საავიაციო უსაფრთხოებას. ამიტომ მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს სერიოზულ საფრთხეს საჰაერო ნავიგაციისთვის.

ამის შემდეგ სევდიამ „თავხედობა“ ველარ გაბედა, იყო გავრცელებული, მათ უნდათ, ეს ასე წარმოაჩინონ, მაგრამ ეს არაა სიმართლე. ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ეს იყო აქციის ფორმა, რაც მთელ მსოფლიოშია გავრცელებულიო. სევდიამ ყველაფერი საკრებულოს თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს გადააბრალა (ესეც კაი ხვითო ვინმეა).

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით. სისხლის ანძაზე განათება ჩართო და თავის მართლებაც დაიწყო, როდესაც ანძა ჩავრთეთ მთავრობის მუქარა ჯერ არ სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (საჰაერო ხომალდისთვის საშიშროების შექმნა), დამნაშავე ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე. ამ შემთხვევაში, დამნაშავეს 3 წლის განმავლობაში, ასევე, ეკრძალება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა. ესე იგი, გამოდის, სევდია უგრეხელიძემ ჯერ განცხადება უნდა დაწეროს გადადგომის თაობაზე, ხოლო შემდეგ, ან ჯარიმა გადაიხადოს, ან კიდევ 3 წელი ვანო მერაბიშვილის გვერდით „კამერაში“ გაატაროს.



სხვათა შორის, თუ ქალბატონ სევდიას სხვა „ცოდვებსაც“ გაუხსენებენ, არც ეგ იქნება ურიგო... ალბათ, გახსოვთ, თბილისის მერიაში ორიოდე წლის წინათ ამოქმედდა პროექტი – „უფასო ადვოკატი“, სადაც სევდია უგრეხელიძემ მხოლოდ საკუთარი შვილები, ნათესავები, მეგობრები, მეგობრების შვილები შეყარა და თბილისის მოსახლეობას ისეთი „უფასო“ იურიდიული დახმარება გაუწია, დღესაც ვერავინ ივიწყებს. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სევდიამ პროექტით გათვალისწინებული მილიონები თავის ნათესაობას აათვისებინა და ყველაფერი ამით დამთავრდა. საერთოდ, მე და თქვენ სევდია-მინდიას სახელები ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან მოყოლებული გვესმის, ვერ გავიგე, რა დამსახურება აქვს და-ძმას ამისთანა ქვეყნისა და ერის წინაშე, რომ თანამდებობების გარეშე არასოდეს რჩებიან?

გამოძიება გრძელდება, საჰაერო ნავიგაციის ხელმძღვანელობა აცხადებს, საჰაერო ხომალდებს შეიძლება საფრთხე შექმნოდათო. თბილისის საკრებულოს წევრები დედაქალაქის მთავრობის გადადგომას ითხოვენ, ჯერ ერთი – ბიუჯეტს ისევ იმ სახით გვაწვდიან, გაუმჭვირვალესო და მეორეც – საფრთხეს უქმნიან საქართველოს დედაქალაქსო. ისე, აქ უკვე ისმება ძალიან საინტერესო კითხვა: თუკი სატელევიზიო ანძის გარე განათება ავიაციის უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, მაშინ რატომ არ ჰყავს მას საგანგებო დაცვა და რატომ მიუწვდება ხელი თუნდაც სევდია უგრეხელიძეს, რომ გამოართვევინოს? რატომ არ არის ის დაცული უშიშროების სამსახურის მიერ?!

როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრმა პირველად გაიგო, რომ სატელევიზიო ანძის განათებას ასეთი საგანგებო მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. თუმცა, როგორც თბილისის მერის მოადგილე, ირაკლი აბესაძე ამბობს, მისთვის სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ საგანგებო შუქურა რამდენიმე წელია, ჩამქრალია. ე, ბიჭო, გაარკვიეთ ახლა, შუქურა ჩამქრალია, ანთია თუ გადამწვარია? ბოლო-ბოლო, გაგვაგებინეთ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია?!

და კიდევ ერთი: შპს „სინათლის ქალაქის“ დირექტორს, ნიკა ტოგონიძეს, რომელსაც უშუალოდ მოსთხოვა სევდიამ ანძის განათების გამორთვა, პროკურატურაში ხუთი საათი ჰკითხავდნენ. როგორც ნიკა ტოგონიძემ განაცხადა, მისი დაკითხვა, მოწმის სტატუსით, თბილისის ტელეანძის გარეგანათების გამორთვასთან დაკავშირებით მოხდა და ტექნიკური სახის კითხვები დაუსვეს, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კითხვებს ვერ აკონკრეტებს.

ტოგონიძე განმარტავს, რომ ანძის გამორთვას ნავიგაციისთვის პრობლემები არ უნდა შეექმნა, რადგან, მისი ინფორმაციით, ანძის გარე განათება ცალკე ხაზზეა და მხოლოდ ციმციმა და ნათურები გამოირთო. ვნახოთ, რას იტყვის პროკურატურა.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილი მეუღლეზე დარდობს



ვანო მერაბიშვილი მის მეუღლეს, თაკო სალაყაიას პროკურატურაში დაკითხვისას მხნეობას უსურვებს და საკნიდან თანაუგრძნობს. როგორც მერაბიშვილმა აღნიშნა:

„ყაჩაღმა პროკურორმა და ნარკომანმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღასრულეს ის მუქარა, რომელიც ჩემი ციხიდან გაყვანის პერიოდში არსებობდა. ეს არის შეუნიღბავი ზეწოლა, უსუსური ქცევა. ყველამ დაინახა, რომ ეს ხელისუფლება ყველაფერზე წამსვლელია. ვიძლევი გარანტიას, რომ ასეთი პატარა ადამიანები აუცილებლად დაისჯებიან. ისინი დიდხანს ვერ დარჩებიან ხელისუფლებაში. ზეწოლა ხდება ჩემს ნათესავებზე, მათ შორის ბიძაჩემის პროცესი ამ დროისთვის მიმდინარეობს. ახლა კი გადაწყვიტეს, რომ ამით გამტეხენ და ჩემი მეუღლის წინააღმდეგ დაიწყეს პატარკაცული ქმედებები“, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ყალბი 100-ლარიანების დამზადება-გასაღების ფაქტზე დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, წარსულში ანალოგიური დანაშაულისთვის მსჯავრდადებული მოქალაქე, შაქრო ბოლიშვილი დააკავეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ფერად ჭავლური პრინტერისა და სპეციალური ლაქ-საღებავების გამოყენებით, სისტემატურად ახდენდა ყალბი 100-ლარიანი კუპიურების დამზადებას და შემდგომ გასაღებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებულ სავაჭრო ობიექტებში.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. (ინტერპრესნიუსი)

# კანონით საკრებულო მერიის ვერც ერთ თანამშრომელს ვერ მოხსნის

## რა გზა მოძებნა უმრავლესობამ

**თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრები მერიის თანამშრომლების გადაყენებასა და საკონკურსო წესით ახალი თანამშრომლების შერჩევას მოითხოვენ. კანონით, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომლების გადაყენების ბრძანებას მერი გამოსცემს. „ნაციონალების“ ბუდედ ცნობილ მერიას რომ ასეთი ბრძანებით მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია უგრეხელიძე არ გამოასუფთავებს, ეს ცხადია.**

**მაშინ რატომ აკეთებენ მსგავს განცხადებას უმრავლესობის წარმომადგენლები?**

**„ალიას“ ესაუბრება უმრავლესობის წევრი გულიკო ზუმბაძე:**

– ანძის განათების გამორთვის შემდეგ არავინ იცის, კიდევ რას მოიმოქმედებენ. სწორედ ამ პრევენციის მიზნით ჩვენ გავაკეთეთ განცხადება და ეს განცხადება იყო პოლიტიკური, რომ არა გვაქვს საკმაო ბერკეტი, კანონმდებლობის მხრივ და ჩვენ არ გვაქვს საშუალება, გადავაყენოთ თბილისის მთავრობა კანონიერად, რადგანაც თავის დროზე „ნაციონალებმა“ იზრუნეს, რომ საკრებულოს არ ჰქონოდა ფართო უფლებები. ამიტომ ჩვენ მოვითხოვეთ თბილისის მთავრობის გადადგომა და ახალი თანამდებობის პირების შერჩევა საკრებულოსთან შეთანხმებით. ქალბატონ სევდიას ვერავინ გადააყენებს, ის არის ქალაქის მერის – უგულავას შერჩეული კანდიდატურა, გიგის ჰქონდა კანონით ამის უფლებამოსილება. ჩვენ გვქონდა იმის იმედი, რომ მათ მორალური პასუხისმგებლობა ეყოფოდათ და თავისი ნებით გადადგებიან. იმისთვის, რომ ეს პოლიტიკური ვითარება კრიზისში არ შევიდეს და არ მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა თბილისის მოქალაქეებზე, გვინდოდა, საკრებულოსთვის შეეთანხმებინათ ახალი წევრების დანიშვნა. ეს იქნება საუკეთესო ვარიანტი ასეთ დროს, ნორმალურ ქვეყნებში დათმობებზე მიდიან ხოლმე სხვადასხვა შტოს ხელისუფალნი. ბუნებრივია, ჩვენ ნაკლებად ველოდებით, რომ მათ ამის ნება ექნებათ, მაგრამ ვუშვებთ ამ პრეცედენტს და ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია განიმუხტება და თბილისი გააგრძელებს ნორმალურ ცხოვრებას არჩევნებამდე.

**— დარწმუნებული ვარ, რომ სევდია უგრეხელიძე ცოცხალი თავით თანამშრომლებს არ გადააყენებს, ეს გამორიცხულია...**

– გასაგებია, დიდი ალბათობით შესაძლებელია, ქალბატონმა სევდიამ ეს ნაბიჯი არ გადადგას, შესაძლებელია, არ გაითვალისწინონ ჩვენი განცხადება. მაგრამ მანდ ერთი მომენტია, ჩვენ არ უნდა გაგვექცეს ყურადღება ამ შემთხვევაში მარტო ამ მიმართულებით, გადადგეს თუ არა მთავრობა, ამიტომ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ბიუჯეტის პროექტის შესწავლისა და განხილვის მიმართულებით, ჩვენ შევხვდებით მერიის წარმომადგენლებს. ჩვენთვის ახლა მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ მერიას არ მივცეთ საშუალება, ამ ტიპის მოქმედებები ჩაიდინოს. უნდა მოხდეს თბილისის ბიუჯეტის პროექტის მთელი სერიოზულობით განხილვა. თუ ჭკუა ეყოფათ, გაითვალისწინონ საკრებულოს შენიშვნები და ყველანაირი საფუძველი შექმნან იმისა, რომ უმრავლესობამ დაამტკიცოს თბილისის ბიუჯეტი. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი.

**— ითქვა ისიც, რომ, თუ მერია არ წამოვა შემხვედრ ნაბიჯზე, ეგება, პარლამენტი ჩაერთოს ამ საკითხშიო. ამ დროს პარლამენტი უფლებამოსილი არ არის, ჩაერიოს საკრებულოს მუშაობაში, მას ამას კანონი უკრძალავს და რისი იმედი გაქვთ? თუ სიტუაცია გამწვავდა, რას მოიმოქმედებთ?**

– თუკი კრიზისში შევა სიტუაცია და ურთიერთდამოკიდებულება, ეტყობა, ზაზა გაბუნია ამას გულისხმობდა, რომ შესაძლებელია, გაჩნდეს ჩანართი კანონმდებლობაში, რითაც საკრებულოს მიეცემა უფლება, მერიის თანხმობის გარეშე გადააყენოს თბილისის მთავრობა. მე ამას ვუშვებ. რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ მოსაზრებისგან, რომ კონკრეტული ფაქტის გამო არ უნდა მოხდეს კანონში წარამარა ცვლილებები და ვითარება ისე უნდა დავარეგულიროთ, რომ ახალ არჩევნებამდე ეს არ დაგვჭირდეს, რადგანაც ცუდი იქნება ამ პრეცედენტის დაშვება. შეგახსენებთ, ასეთ ხერხებს მიმართავდა „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც უნდოდა, ისე ჭრიდა და კერავდა კანონებს, ამდენად, მე ვფიქრობ, უფრო პოლიტიკური ნება უნდა იყოს ორივე მხრიდან, რომ ამ ჩიხიდან გამოვიდეთ და ისევ ნორმალურ კალაპოტში წარიმართოს ბიუჯეტის დამტკიცება და ასე მივიდეთ არჩევნებამდე სამართლებრივი გზით.

**— ანუ თქვენ არ გამორიცხავთ, რომ შეიძლება მოხდეს კანონში ცვლილების შეტანა?**

– ეს უკვე პარლამენტარების სამსჯელოა, თუკი ისინი ჩათვლიან საჭიროდ, რომ ეს არის აუცილებელი. ეს ყველაფერი სცდება თბილისის საკრებულოს კედლებს, მის უფლებამოსილებებს და გადადის უფრო სერიოზულ ჭრილში, ისევე, როგორც ქალაქის მერის საქმიანობა გადავიდა პოლიტიკურ ჭრილში. ამდენად მნიშვნელოვანი იქნება დეპუტატების ჩართულობა და ასევე, მთავრობის იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რაც მათ გააჩნიათ საკრებულოსთან მიმართებაში.

**— სხვა გზებზე თუ გიფიქრიათ, რომ მიზანს მიაღწიოთ?**



– დიახ, პირადად მე, როგორც ფრაქციის თავმჯდომარეს, ამაზე მიფიქრია, მაქვს კიდეც ჩემი მოსაზრებები ჩამოყალიბებული, იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, იყოს მისაღები ბიუჯეტი, რომ დაწესდეს სერიოზული მონიტორინგი მის ხარჯვაზე და არ მიეცეს „ნაციონალურ მოძრაობას“ საშუალება, გამოიყენოს ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ. ეს არის თბილისელების ბიუჯეტი, მათი ფული, შევადგინოთ ჩვენი გეგმა, სტრატეგია, რომ მოსახლეობამდე მივიდეს ყველა ის სიკეთე, რაც ბიუჯეტშია მათთვის გათვალისწინებული იმის გამო, რომ „ნაც-მოძრაობამ“ არ დაიბრალოს თავის თავზე, ამიტომ საზოგადოება უნდა მივაჩვიოთ, რომ არ მიიღოს ეს, როგორც „ნაციონალების“ წყალობად, სოციალური თუ სხვადასხვა დახმარება. საკრებულოს უმრავლესობას აქვს თავისი პოზიციები და ჩვენ ვცდილობთ, ეს პოზიციები შევაჯეროთ და მივიღოთ ერთიანი გადაწყვეტილება.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

## მარგველაშვილმა თურქეთში ვიზიტი დაასრულა

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, ანკარაში გამართული ოფიციალური შეხვედრების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა, ქართულ დელეგაციასთან ერთად, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაათვალიერა.




„ბედნიერი ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, ჩვენი წინაპრების შემოქმედება გვენახა. ღვთის მადლით, საქართველოსა და თურქეთს ისეთი ცივილიზებული ხელისუფლება ჰყავს, რომელიც პატივს სცემს, რუდუნებით უვლის და მომავალ თაობას უნახავს კულტურულ მემკვიდრეობას“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, „ანკარაში გამართული მოლაპარაკებების თვალსაზრისით, დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. საქართველოს პრეზიდენტსა და ქართულ დელეგაციას თურქეთის მხარემ აღუთქვა, რომ ოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყება“. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტრატეგიული ობიექტების ნუსხას კანონი არ სჭირდება




პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელის ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების განსაზღვრასა და სახელმწიფოს განსაკუთრებულ მმართველობაში მის არსებობას, კონსტიტუცია ითვალისწინებს.

„აუცილებლად უნდა მოხდეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების აღრიცხვა და ის სახელმწიფოს განსაკუთრებულ მმართველობაში უნდა იყოს. სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი დამტკიცებული არ გვაქვს. დაახლოებით 15 წელია, ამაზე ვჩხუბობთ, მაგრამ ახლა პრემიერ-მინისტრმა უკვე განაცხადა, რომ ეს ნუსხა უნდა გაკეთდეს“, – განაცხადა ტყემალაძემ.

მისი აზრით, საკმარისი იქნება, სტრატეგიული ობიექტების ნუსხის მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრა და ამ მიმართულებით საკანონმდებლო პროექტის ინიცირება აუცილებლობას არ წარმოადგენს. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო სტრატეგიულ ფუნქციას კარგავსო




„ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით, 2013 წელს საქართველოს სტრატეგიული ფუნქციის — აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის ნაწილობრივი ეროზია მოხდა.

„2013 წლის იანვარ-ნოემბერში ადგილობრივი გადაზიდვები, 2012 წელთან შედარებით, შემცირდა 440 ათასი ტონით, ტრანზიტული გადაზიდვები შემცირდა 840 ათასი ტონით, 2013 წელს საქართველოს რკინიგზამ გადაზიდა დაგეგმილზე 1,250,000 ტონით ნაკლები ნავთობპროდუქტი, ასევე, დაგეგმილზე 1,750,000 ტონით ნაკლები მშრალი ტვირთი – ჯამში, 2013 წელს საქართველოს რკინიგზამ გადაზიდა დაგეგმილზე 3,000,000 ტონით ნაკლები ტვირთი (14%) (ათობით მილიონი დოლარი). 3 მილიონი ტონა ტვირთი აზიიდან ევროპაში მოხვდა საქართველოს გვერდის ავლით, ანუ რუსეთის გავლით, რაც შემაშფოთებელი ტენდენციაა“, – მიიჩნევენ პარტიაში. (ინტერპრესნიუსი)

ახალგაზრდა უფლებადამცველები კანცელარიასთან შეკრებილ გორის ბაზრის მოვაჭრეთა აქციას შეუერთდნენ და ფასების ზრდა გააპროტესტეს. რატომ გაძვირდა პროდუქტები და როგორ გადაინაწილეს ხელისუფლებაში ბიზნესები ისე, რომ ახლა ხალხის ხარჯზე კვლავ ერთეულები მდიდრდებიან? ვართ თუ არა სოციალური აფეთქების ზღვარზე, გამოვა თუ არა ხალხი ქუჩაში და მოითხოვს თუ არა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას?

„ალია“ უფლებადამცველ **ლექსო კობაიძეს** ესაუბრა.




# ახალგაზრდა უფლებადამცველები ბენზინის მაფიაზე დოკუმენტებს აგროვებენ

– მოგეხსენებათ, ლარის დევალვაცია მიმდინარეობს, საზოგადოებამ კარგად დაინახა, რა ტენდენციაცაა და როგორ ძვირდება ყველა პროდუქტი. ჯერ თავს იმართლებდა მთავრობა, ფასების ზრდა ახალ წელს უკავშირდებაო, მაგრამ ჩაიარა ახალმა ხელმა და უფრო გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა. ჩვენ აქციაზე არა მხოლოდ პროდუქტებზე, არამედ საწვავზეც გავამახვილეთ ყურადღება. კარგად იცით, რომ სამ დღეში ერთხელ ფასები იმატებს საწვავზე, რაც ისედაც დამძიმებულ სოციალურ ფონს უარესად ამძიმებს.

**— კი მაგრამ, სულ იმას არ ამბობდნენ, „ნაციონალების“ ჯიბეში მიდის საწვავის ფულიო? ახლა ვის ჯიბეში მიდის?**

– არსებითად არაფერი შეცვლილა, „ნაციონალების“ დროს ვის ჯიბეშიც მიდიოდა, ახლაც იმ ხალხის ჯიბეში მიდის. უკვე დარწმუნებული ვარ, რომ აქაც კოჰაბიტაცია მუშაობს. ერთობლივი კლანი შექმნეს „ნაციონალებმა“ და „ოცნებამ“. მოხდა ბიზნესების გადაბარება. ბიზნესში ისევ კარტელური გარიგებებია. ხალხის კისერზე ისევ შოულობენ ფულს ცალკეული პირები და ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავს. ხალხი, რომელიც ადანაშაულებდა წინა ხელისუფლებას ენერგომაფიასთან ან სხვა სახის კარტელურ შეთანხმებებში, ახალმა ხელისუფლებამ იგივე ხაზი გააგრძელა. საზოგადოებაში უკვე მუსირებს აზრი, რომ ახალი ხელისუფლება გაურიგდა ამ მაფიას. ფაქტიც სახეზეა, ყველაფერი იგივე დარჩა, არ გაზრდილა ხელფასები, სამაგიეროდ გაძვირდა ყველაფერი და მოიმატა გადასახადებმა. ბენზინის ფასი და ლარის დევალვაცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს აქცია, რომელიც ჩავატარეთ, გამაფრთხილებელი იყო და გაჩერებას არ ვაპირებთ. ბოლომდე მივყვებით.

**— დამისახელეთ რამდენიმე ადამიანი, ვის ჯიბეშიც ამხელა ფული ილექება.**

– რა თქმა უნდა, ვიცი ამ ადამიანების გვარები. მესმის, რომ ძალიან გინდათ, ისინი დაგისახელოთ, მაგრამ აუცილებლად ვპირდები „ალიას“ დოკუმენტურად მათ გამოაშკარავებას. მე იურისტი ვარ და დოკუმენტების გარეშე ამის მტკიცება არ მჩვევია.

**— მიმანიშნეთ მაინც, ვინ არიან.**

– ესენი არიან ძველი ჩინოვნიკები, რომლებიც ახალ ხელისუფლებასთან შევიდნენ კოჰაბიტაციურ ურთიერთობაში. მხოლოდ დროებით არ ვასახელებ ამ გვარებს, თორემ აუცილებლად არგუმენტებით დავასახელებ, უკან დახევა არ მჩვევია. დაგისახელებთ ადამიანებს, რომლებიც არიან ხალხის ხარჯზე გამდიდრებულები და ვინც აპირებს კიდევ უფრო გამდიდრებას.

საწყენია, რომ ღარიბაშვილი სააკაშვილივით იმეორებს, რომ ყველაფერი კარგადაა, გარღვევა არაფერში გვაქვს და წინ მივდივართ, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ხალხი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. მე ვფიქრობ, სოციალური აფეთქება უეჭველად მოხდება და ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, ისე კომფორტულად ვეღარ იგრძნობენ თავს, როგორც არიან. საპროტესტო მუხტი აშკარაა და ეს გაღვივდება. ხალხში სოციალური პროტესტი არსებობს. მართალია, ამას ორგანიზებული სახე არ აქვს, მაგრამ ვაძლევ ხელისუფლებას პირობას, რომ, თუ ასე უუნაროდ გააგრძელებს მუშაობას, ეს ხალხის მძლავრ აგრესიას გამოიწვევს. მერე ლამაზი დაპირებები ვეღარ გადაარჩენს ამ ხელისუფლებას.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# ექსპერტები ირაკლი ღარიბაშვილს „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭოს“ შექმნის ინიციატივით მიმართავენ



საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ექსპერტები ლევან კალანდაძე, ირაკლი ლექვინაძე, ლევან ალაფიშვილი და გიორგი აბაშიშვილი „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭოს“ შექმნის ინიციატივით მიმართავენ. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნულია, რომ სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების საქმიანობა ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და სრულყოფას, რის გამოც ექსპერტთა ოთხეულს მიაჩნია, რომ აუცილებელია უმაღლესი პირებისგან დაკომპლექტებული „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭოს“ შექმნა, რომლის თავმჯდომარეც პრემიერ-მინისტრი იქნება.

– სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინაციის დაბალი დონე, გადაწყვეტილების არაოპერატიულობა, გადაწყვეტილების მიღებისა და მასზე პასუხისმგებლობის აღების პრობლემა განაპირობებს რიგ ხარვეზებს, რომელზე რეაგირების გარეშეც საინვესტიციო აქტივობის ზრდის მიღწევა სამომავლოდ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული სირთულეები და უწყებათაშორის კოორდინაციის პრობლემა განაპირობებს მსხვილი და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საინვესტიციო პროექტებისთვის სახელმწიფო უწყებების მხრიდან მხოლოდ მინიმალურ ხელშეწყობას. ხოლო რიგ შემთხვევებში ინვესტორები ხელშეწყობის ნაცვლად აწყდებიან გარკვეულ ბიუროკრატიულ ბარიერებსა და რთულად დასაძლევ წინააღმდეგობებს. ყოველივე ამის გამო, მოგმართავთ წინადადებით, თქვენი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, თავმჯდომარეობით შეიქმნას „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო“, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი პირებით, – ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ოთხი ექსპერტი.

**ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი გიორგი აბაშიშვილი** აცხადებს, რომ სახელმწიფოს ყველა დონეზე დაფიქსირებული აქვს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვა, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელოვანი, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს კოორდინაციის პრობლემა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

– ხშირად ეს კოორდინაციის პრობლემა თავს იჩენს ქვედა რგოლებში, რიგითი ბიუროკრატიის დონეზე. ჩვენი ინიციატივა სწორედ ის არის, რომ შეიქმნას საბჭო, რომელიც უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფს მსხვილ ინვესტორთა პრობლემების მოგვარებას და ინიციატივების მაღალ დონეზე განხორციელებას. ცალკეულ შემთხვევებში არსებობენ ინვესტორები, პროექტებიც, ინვესტიციის განსახორციელებელი თანხაც, თუმცა ვხედავთ, რომ პროექტები დაწყებული არ არის. ჩვენი ინიციატივა არ გულისხმობს იმას, რომ რაიმე სახის შუამავლობას ვაპირებთ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის და არ მინდა ჩვენი ინიციატივა ასე იქნას აღქმული, ჩვენ მხოლოდ რეკომენდაციას ვაძლევთ, სახელმწიფომ შექმნას საბჭო, სადაც შევლენ მინისტრები და სახელმწიფოს მიერ შექმნილი საბჭო უზრუნველყოფს კოორდინაციას ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის. ჩვენი მხრიდან ეს მხოლოდ რეკომენდაციაა, – ამბობს აბაშიშვილი.



საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივაში მიაჩნიათ, რომ „სახელმწიფო საინიციატივო საბჭოს“ შექმნასთან ერთად ამავე ფორმატში უნდა მოხდეს საინვესტიციო პრიორიტეტებისა და საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებების საქმიანობისა თუ გადაწყვეტილებების მიღების კოორდინაცია, ასევე, მსხვილი და სტრატეგიული პროექტების მიმდინარეობაზე საბჭოს მიერ თვალყურის დევნება და მსჯელობაც.

**საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე** განმარტავს, რომ დღეს მსხვილი და სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების მიმართ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყების მხრიდან ხელშეწყობის დონე დაბალია და მხოლოდ ცალკეული სამინისტროების იმედზე მსხვილი სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების დატოვება არ შეიძლება.

– ხელისუფლებისთვისაც მტკივნეულია ეს საკითხი და მათ შექმნეს სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გარკვეული სახის წინადადებები უნდა მოამზადოს. ეს ძალიან კარგია, მივესალმებით ამას. ჩვენი შეთავაზებაც სწორედ ამის გაგრძელებაა, რადგან ამ პრობლემების მოგვარების გარეშე ძალიან რთული იქნება იმ პრობლემის მოგვარება, რასაც ჰქვია სახელმწიფოს ცალკეულ სტრუქტურებსა და ინვესტორს შორის კოორდინაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის ხელმძღვანელის თქმით, „სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო“ არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს მსხვილი და სტრატეგიული საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხზე, არამედ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ასეთი პროექტების უწყებების მხრიდან შეფერხების გარეშე განხორციელებაზე.

**ექსპერტთა ოთხეულის მიმართვა-რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უკვე გადაეგზავნა.**

*შორენა გოგოლაძე*

# რა შეიცვლება ნატოს წარმომადგენლების საქართველოში ჩამოსვლით?



**საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვახტანგ კაპანაძის განცხადებით, 11-12 თებერვალს დაგეგმილია ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, რაც იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რათა უმაღლეს დონეზე მოხდეს, რეგიონის უსაფრთხოების ჭრილში სამხედრო-პოლიტიკური თემების, ნატო-საქართველოს ურთიერთობის საკითხების განხილვა. ამავე დროს, ნატოს მაღალი დონის წარმომადგენლებმა თავისი თვალით იხილონ, რა წარმატებებს მიაღწია საქართველომ.**

**„ალიას“ ესაუბრა ექსპერტი სამხედრო საკითხებში, გიორგი თავდგირიძე:**

**— ბატონო გიორგი, ოფიციალურად ნატოს წარმომადგენლების ვიზიტი რეგიონში საქართველოს უსაფრთხოების საკითხების განხილვას უკავშირდება. არაოფიციალურად, კიდევ რა საკითხები შეიძლება განიხილონ?**

– ჯერ კონკრეტულ თემებზე საუბარი არ არის. ამიტომ ამ შემთხვევაში ეს ვიზიტი კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების საკითხების განხილვას ნამდვილად არ ეხება. მეც ბევრი კითხვა მაქვს ამასთან დაკავშირებით, რადგან ახალი ხელისუფლების პირობებში ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრები ჯერ დასაწყისია და ძნელია თქმა, რაზე იქნება კონკრეტულად საუბარი.

**— მაპ-თან მიახლოებაზეც ხომ არ იქნება საუბარი?**

– მე მიმაჩნია, რომ უკვე დადგა დრო, ნატომ გააკეთოს მკაფიო გზავნილი და გააკეთოს კონკრეტული განცხადება იმ ვადების შესახებ, რა ვადაშიც შესაძლებელია, საქართველო რა დროში მოახერხებს ნატოში ინტეგრირებას. საქართველოს მოსახლეობამ უკვე დაახლოებით კი არა, ზუსტად უნდა იცოდეს, როდის უნდა ჰქონდეს ნატოში გაწევრიანების იმედი. აქ მაპ-ი იქნება მოფიქრებული, თუ სხვა რამ, არ ვიცი, მაგრამ დრო მკაცრად უნდა გაიწეროს.

**— გერმანიის ელჩმა ხომ უკვე გააკეთა განცხადება, რომ უახლოეს პერიოდში ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების შანსი არ გვაქვს? ვინ იძლევა იმედს, რომ ტყუილად არ ვწვალობთ?**

– ჩვენ მაპ-ისკენ აღარ მივისწრაფით, ის აღარ არის ჩვენი მიზანი, რადგან ახლა გვინდა ქვეყნის უსაფრთხოება, ამიტომ გვინდა კონკრეტული პასუხი, როდის შევალთ ნატოში. ჩვენ ამ კუთხით უნდა დავაყენოთ საკითხი. უნდა შევცვალოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიდგომები და დავაფიქსიროთ, რომ ნატო მიზანი კი არა, საშუალებაა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და ნატოში გაწევრიანების პროცესი აღარ გვაინტერესებს. მათგან მოწონება, თავზე ხელის გადასმა და საამებელი განცხადებები აღარ გვჭირდება, ახლა პირდაპირ ქმედებაზე უნდა გადავიდნენ. ჩვენ ეს ეტაპი უკვე გავიარეთ. ქართული საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებულია, არჩევანი გაკეთებულია, ახლა ამ არჩევანს მხოლოდ ხელი შეიძლება შეუშალოს, თუ ნატო ვადებს გაწელავს.

**— ასე თუ მოხდა, რა იქნება ჩვენს თავს?**

– გაურკვეველი აპელირება ღია კარზე ნატოსთან მიმართებაში და გამუდმებული ძახილი იმისა, რომ დემოკრატიაში პროგრესი გვაქვს, უკვე აღარ გვჭირდება. საუბარი უნდა შეეხებოდეს საქართველოს, როგორც ზრდასრულ და ჩამოყალიბებულ ქვეყანას. მან უნდა იცოდეს, თუ ნატოს კარი ჩვენთვის დაკეტილია, მაშინ ჩვენ უნდა მოვძებნოთ ალტერნატიული საშუალება. ამიტომ ჩვენთან ღია საუბარია საჭიროა.

**— თუ ნატო არა, რა ალტერნატივა გვაქვს?**

– თუ ნატოს პერსპექტივა შორეულია, ჩვენ ხვალ ან ზეგ შეიძლება, პრობლემები შეგვექმნას უსაფრთხოების მიმართულებით. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ.

**— რუსეთთან ომში ნატოს ხელიც კი არ გაუნძრევია, ამერიკელებმა წყალი გამოგვიგზავნეს და ასეთი ვიზიტებით რამეს ვიღებთ საერთოდ?**

– ამგვარი კითხვების დასმა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით ვმერყეობთ. ჩვენთვის ნატო არ არის მითი ან კომუნიზმი, რომლისკენაც მივისწრაფვით, ის არის სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტია. ეს არ არის იდეოლოგია ან რელიგია, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. აქ საუბარია ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე და როცა ვსვამთ კითხვას, ვმსჯელობთ, რა ვქნათ იქ გაწევრიანებამდე, სანამ ჩვენს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ნატო. თუმცა არ დაგეთანხმებით იმ ნაწილში, რომ ნატო არ ჩარეულა ამ ომში შეგნებულად. ნატოს არანაირი ბერკეტები არ ჰქონდა, იურიდიულად ჩარეულიყო და დახმარებოდა საქართველოს, როგორც ორგანიზაცია. მაგრამ ნატოს წევრი ცალკეული ქვეყნები — საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთი ყოველთვის გვეხმარებოდა ხან პოლიტიკური განცხადებებით, ხან სხვა ფორმით, ზოგი ფინანსურად, ზოგი – სამხედრო გემებით. ამერიკამ სამხედრო გემების მანევრი განახორციელა და მოახდინა ძალის დემონსტრირება, ეს იყო შემაკავებელი ფაქტორი რუსებისთვის. ომსა და მშვიდობას შორის ბევრი სამოქმედო ილეთია, რომელზეც ჩვენ არ ვსაუბრობთ, რადგან სამხედროები არ საუბრობენ ღიად ამაზე, 20 წელი კი სამხედრო სფეროში გამოცდილებას არ ეყო. თუმცა საზოგადოება მართალია, როცა ასეთ კითხვებს სვამს. ქვეყანამ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია არის ნატო, სამწუხაროდ კი, გზა, რომელიც ამას მოვანდომეთ, საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა და დიდი რისკის შემცველიც. ამ პერიოდში ვერ იგრძნო ქართველმა ხალხმა მატერიალური, ხელშესახები დახმარება.



**— შარშანაც აპირებდნენ ნატოს წარმომადგენლები ჩამოსვლას, მაგრამ გენერალ კალანდაძის დაკავების გამო გადაიფიქრეს. შეიძლება ახლანდელი ვიზიტი რამენაირად კავშირში იყოს თავდაცვის ექსმინისტრ ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესთან. „ნაციონალების“ ლობისტები მთელ მსოფლიოში მუშაობენ ამ საკითხებზე?**

– არანაირი კავშირი არაა. ნატო არ არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია, ის პოლიტიკურ შეფასებებსაც აკეთებს და ის პოლიტიკური პროცესები, რაც ქვეყანაში მიდის, მისთვის საინტერესოა. ამიტომაც ამ პროცესებზე ის გარკვეულ დასკვნებსა და შეფასებებს აკეთებს. ეს ხან მოსწონს ხალხს, ხან — არა, მაგრამ ის ყოველთვის დელიკატურია. მე არა მგონია, კონკრეტულად რაიმე პოლიტიკური მიზეზის გამო განხორციელდეს ნატოს წარმომადგენლების ვიზიტი. ასეთი ხისტი და პირდაპირი ჩარევები ნატოს პოლიტიკოსებს არ ახასიათებთ. მაშინ, კალანდაძის გარდა, სხვა ფაქტებიც იყო გასარკვევი.

**— მაგალითად, რა?**

– ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ განწყობებთან დაკავშირებით ჰქონდათ კითხვა ძირითადად. საინფორმაციო სივრცე ისეთი იყო, რომ ჰქონდათ კითხვები და ეჭვები. „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა, თუმცა ახლა შეიცვალა ყველაფერი. „ნაციონალების“ ეპოქა უკვე დასრულდა. ცალსახად მათ ინფორმაციას უკვე აღარ ენდობიან, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობენ უცხოელებთან და აწვდიან ინფორმაციას. მაშინდელი ოპოზიცია მოიკოჭლებდა, ახლა კი სხვა რეალობაა. „მესიჯებს“ მხოლოდ „ნაციონალების“ განცხადებებზე არ უშვებენ, ამიტომ უცხოელების შიშები და კითხვის ნიშნები მოიხსნა.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## რა დარღვევები მოხდა უცხოური ორგანიზაციის მოხსენებაში

**Human Rights Watch**-ის ანგარიშში, რომელშიც საქართველოში 2013 წელს მომხდარი მოვლენებია ასახული, ცალკე ქვეთავები ეთმობა აღმსარებლობის თავისუფლების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა და შეკრების თავისუფლების საკითხებს.




მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლის ნოემბრიდან რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ზოგიერთ სოფელში ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობა ხელს უშლიდა, ზოგჯერ ძალის გამოყენებითაც, ადგილობრივ მუსლიმანებს ჩაეტარებინათ რელიგიური მსახურება კერძო სახლებში მოწყობილ მეჩეთებში.

მოხსენებაში ასევე მოხვდა 17 მაისს მომხდარი ინციდენტიც. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჰომოფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მშვიდობიანი შეკრება ძალადობრივად დაშალა აღნიშნული ღონისძიების მოწინააღმდეგე ათასობით დემონსტრანტმა, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა. დოკუმენტში ასევე ასახულია 8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის წინ გამართული აქციის შესახებაც, სადაც „ნაცმოძრაობის“ წევრებთან დაპირისპირება მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

## საინვესტიციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს



საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ საინვესტიციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით: „მანამდე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და საინვესტიციო კანონმდებლობის სრულყოფაზე“.

„ქვეყანაში არსებული საინვესტიციო შიმშილის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების, როგორც ერთიანი ორგანოს კოორდინირებული მუშაობის, ოპერატიულად გადაწყვეტილების მიღების სისტემის ეფექტური მუშაობა. შესაბამისად, ჩვენ მივმართავთ ხელისუფლებას, რომ მხოლოდ კონკრეტული სამინისტროების, მხოლოდ სახელმწიფო უწყებების ამარა და იმედზე ნუ დატოვებს მსხვილ, სტრატეგიული დანიშნულების საინვესტიციო პროექტებს და პრემიერმა თავისი პასუხისმგებლობით შექმნას სახელმწიფო საინვესტიციო საბჭო, რომელიც, ერთი მხრივ, აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, გაუწევს გარკვეულ კოორდინაციას და კონტროლს სახელმწიფო სტრუქტურებს, რათა კონკრეტულ ინვესტორებს კონკრეტულ „ქეისთან“ დაკავშირებით არ შეექმნათ ტექნიკური თუ ბიოროკრატიული ხასიათის პრობლემა“, – განაცხადა ექსპერტმა ლევან კალანდაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## დევნილ ბავშვებს სტატუსი არ შეეცვლებათ

არასრულწლოვანთათვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ლტოლვილთა და



განსახლების სამინისტრომ მიდგომა შეცვალა.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" კანონპროექტი ახლებურად არეგულირებს პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებს და პირობებს, დევნილთა სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს და ასე შემდეგ. სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, დევნილის სტატუსი უნდა მიენიჭოთ ბავშვებს, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავთ დევნილი, კანონის მოქმედი რედაქცია კი იმას ითვალისწინებს, რომ, თუკი ერთი მშობელიც დევნილია, ბავშვს სტატუსი ენიჭება. (ინტერპრესნიუსი)

# როგორ დაიცავს კუკავა თბილისელებს შსს-სგან?

**კახა კუკავას განცხადებით, ახალი მთავრობა რომ გვამუნათებდა, ფარული ჩანაწერები სრულიად გავანადგურე და თავისუფლად ამოისუნთქეთ, საამო ცხოვრება დაიწყოო, ყველაფერი სიცრუეა, ისევ ხდება მოსმენები და თვალთვალი და ამის გამო საკრებულოში შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებ განხილვაზეო.**

**დეტალების დასაკონკრეტებლად „ალია" კახა კუკავას დაუკავშირდა:**

და, არამედ სასამართლო გადაწყვეტილება პირდაპირ ეგზავნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამ სატელეფონო სერვერის საშუალებით პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას.

მიუხედავად ღარიბაშვილის ზეპირი განცხადებებისა, ეს აპარატურა არც არავის გამოუტანია სატელეფონო კომპანიებიდან. ეს ჩვენთვის წარმოადგენს ნათელ დადასტურებას იმისა, რომ „პოლიტიკური პოლიციისა და ჟანდარმერიის ფუნქციას ასრულებს სწორედ ეს სუს-ი და აი, ეს სათვალთვალო და მოსასმენი სპეციალური აპარატურა პირდაპირ იმყოფება სუს-ის კონტროლქვეშ.

**— და ვის უთვალთვალებენ, ვის უსმენენ?**

– ყველას, ვისაც ვანო მერაბიშვილი უსმენდა და უთვალთვალებდა, მე, თქვენ და ყველას, ყველა იმ ადამიანს, ვისი აზრებიც და კონტაქტებიც მათთვის საინძლება ბრალი დამდონ, რომ ამ ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილი ვარ და ამიტომ ვაკეთებ ამ განცხადებებს, მაგრამ იმ უცხოურ ორგანიზაციას ასეთ ბრალდებებს ვერ წაუყენებენ.

გინდათ, უფრო დეტალურად გითხრათ, რა აპარატურაზე გელაპარაკებით? ამ შემთხვევაში კონკრეტულად ვინმეს კი არ უსმენენ, არამედ, ყოველდღიურად ხდება ათობით ათასი ადამიანის საუბრის მონიტორინგი. სისტემა ისე არ ურეკავდნენ და მოითხოვდნენ მისგან ფულს, სრული აბსურდი არ გამოდის?.. საიდან უნდა მოესმინათ მკვლელებისთვის ორი დღით ადრე? მოკლედ, სისტემა არის ეს და ყველა მობილური და საქალაქო ტელეფონი ისმინება, იწერება, ინახება „შავ ყუთში" და თუ დაინტერესდებიან კახა კუკავათი, გაიცემა სპეციალური ბრძანება და მოისმენენ ჩემს დეკემბრის საუბარს. ან ნოემბრის ჩანაწერს. აი, ასეთი სისტემაა და



– გარდა იმისა, რომ მე მაქვს ჩემი ოპერატიული არხები, ეს ინფორმაცია დაადასტურა ორმა ძალიან ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, ერთი ეს არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა" და ეს ფაქტი ასევე დაადასტურა უცხოურმა ორგანიზაციამაც, რომელსაც ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

ნორმალურ ქვეყნებში თუ წარმოიქმნება აუცილებლობა, მოუსმინო რომელიმე X პიროვნებას, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ შესაბამის სატელეფონო კომპანიას ევალება ამ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება, რომ ამ X პიროვნების ტელეფონის ჩანაწერები გადაეცეს გარკვეულ სამსახურს. ვანო მერაბიშვილმა, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა კონკრეტულ საქმეზე არ ეცნობებინა სასამართლოსთვის და ამ პროცედურებისთვის გვერდი აევლო, გააკეთა მსგავსი რამ, რომ სატელეფონო კომპანიებში, როგორც მობილურ, ისე საკაბელო კომპანიებში დაამონტაჟა სპეციალური აპარატურა, რომლის საშუალებითაც მას თვითონ ჰქონდა წვდომა, რომ მოესმინა საუბრებისთვის. მაგალითად, იმისთვის, რომ „ჯეოსელის" აბონენტისთვის მოესმინა, „ჯეოსელს" კი არ ატყობინებდა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილება პირდაპირ...

ტურებას იმისა, რომ „პოლიტიკური პოლიტიკა" თავის საქმიანობას აგრძელებს, უბრალოდ, სახელი შეიცვალა: ადრე არსებობდა სოდ-ის და კუდ-ის დეპარტამენტები, ეხლა ეს ორი დეპარტამენტი გაერთიანდა, მას ეწოდება სუს-ი და საქართველოში მუშაობს, რომ ახლა თამარს უსმენენ და კახას უსმენენ, ეს სისტემა იწერს ყველაფერს და საჭიროების მიხედვით „შავი ყუთიდან" ხდება ყველა თემის ამოღება და ეს სისტემა როდის გახმაურდა, იცით? ეს ამბავი გახმაურდა ცხონებული ზვიად ცეცხლაძის საქმესთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, ზვიად ცეცხლაძე ბიზნესმენი იყო, რომელიც მოკლეს და ეს საქმე გაიხსნა სწორედ ამ „შავი ყუთის" დახმარებით, რომელიც სასამართლოზე იქნა მიტანილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. როდესაც ცეცხლაძე მოკლეს, ვთქვათ, ოთხშაბათს, შსს-მ მტკიცებულებად წარმოადგინა ორშაბათის ჩანაწერები და სასამართლოს უჩვენა, რომ გარდაცვლილს ორშაბათს

ტერესოა.

**— არჩევნებამდე გასაგებია და მე ახლა რა კუთხითღა უნდა ვიყო მათთვის საინტერესო?**

– რატომ იყავით საინტერესო ვანო მერაბიშვილისთვის? ყოველ შემთხვევაში, მე რასაც გეუბნებით, ეს დადასტურებული ფაქტია, შეი-

არა ისე, კონკრეტულად უსმენდნენ სუყველას...

**— კახა, თქვენ აპირებთ საკრებულოში ამ საკითხის განხილვას, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო ხომ ცენტრალური ხელისუფლებაა და როგორ აიძულებთ მას, თვალთვალი შეწყვიტოს?**

– როგორ ვაიძულებთ, რომ თვალთვალი შეწყვიტოს? მე ვარ საკრებულოში ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარე და მე მეხება თბილისის ტერიტორიაზე თბილისელების უფლებების დარღვევის ყველა ფაქტი. სულ ერთია, ამ უფლებას ვინ არღვევს – ცენტრალური ხელისუფლება, ადგილობრივი თუ კერძო. ამ შემთხვევაში, როგორც ხედავთ, ირღვევა თბილისელების უფლებები, აქედან გამომდინარე მე გამოვიძახებ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს ამ კომისიის სხდომაზე. რაც შეეხება იძულებას, ვერაფერს ვერ ვაიძულებ, ჩვენ შეგვიძლია ამ საქმეზე მოვიპოვოთ დეტალები, საზოგადოებას ვაცნობოთ და რეკომენდაციები მივცეთ ხელისუფლებას, თორემ სანამ ეს ხელისუფლება იქნება, თვალთვალი კვლავაც არ შეწყდება. მთავარია, საზოგადოებამ ამის შესახებ იცოდეს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### 198-ე საბავშვო ბაღში ხანძარი ლიკვიდირებულია




თბილისის 198-ე საბავშვო ბაღში ხანძარი ლიკვიდირებულია. საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების უფროსის ლევან ჩხიკვაძის განცხადებით, ხანძარი ელექტროგამანაწილებელს გაუჩნდა, რაც, სავარაუდოდ, მოკლე ჩართვამ ან მაღალი ძაბვის მოვარდნამ გამოიწვია. შენობა მნიშვნელოვნად დაზიანებული არ არის. დამწვარია ელექტროსადენი და კედელი, სადაც აღნიშნული სადენი იყო განთავსებული.

ბაგა-ბაღის დირექტორის, ინგა ბაიაჯანის ინფორმაციით, დაწესებულებაში ხანძრის მომენტში 252 ბავშვი იმყოფებოდა. აღმზრდელებმა დროულად უზრუნველყვეს აღსაზრდელების ევაკუაცია. ამ დროისთვის საბავშვო ბაღში გათიშულია ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. ჯერჯერობით უცნობია, როდის განაახლებს საბავშვო ბაღი სასწავლო პროცესს. (ინტერპრესნიუსი)

### უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის კანცელარიაში უსაფრთხოების საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, სხდომაზე ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს. სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მას თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, დაზვერვის სამსახურის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელი, პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში დაესწრნენ. უსაფრთხოების საბჭო პრემიერთან არსებული ახალი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც პერიოდულად მართავს შეხვედრებს. (ინტერპრესნიუსი)

### უმრავლესობას სიტუაციის დაძაბვაში ადანაშაულებენ



„ნაციონალური მოძრაობის" ფრაქცია „განახლებული თბილისის" თავმჯდომარის, თამაზ შოშიაშვილის განცხადებით, საკრებულო ცდილობს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას. მისი თქმით, საკრებულოს უმრავლესობა იმის ნაცვლად, რომ დაკავებული იყოს დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვით, დაკავებულია დედაქალაქში სიტუაციის დაძაბვით, რადგან უკანონოდ ითხოვს დედაქალაქის ეფექტური და ქმედითი მთავრობის გადადგომას.

„მათი მიზანია, დედაქალაქის პრობლემას ბიუჯეტთან დაკავშირებით სხვა პრობლემებიც დაემატოს. დღევანდელი სიტუაცია არის სტაბილური და ჩვენ არ მივცემთ მათ უფლებას, რომ ქალაქში სიტუაცია აირიოს და დედაქალაქს ბიუჯეტის არქონასთან ერთად არ ჰყავდეს მთავრობა", – განაცხადა შოშიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა ინტერესი აქვს საგანელიძეს I არხის სამეურვეო საბჭოში?

რომელ პოლიტიკურ ძალას სურს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელში ჩაგდება და რა ინტერესები აქვს უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს „პირველ არხთან“ დაკავშირებით?

მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ჯერ ისევ დაუკომპლექტებელია. პარლამენტის კომისიამ საკანონმდებლო ორგანოში 27-კაციანი სია გადააგზავნა, თუმცა უმრავლესობას უჭირს ამ ადამიანებისგან სამი სასურველი კანდიდატის შერჩევა, რათა კანონით გათვალისწინებული კვოტების რაოდენობა შეავსოს.

უმრავლესობას ამ დროისთვის მხოლოდ ერთი კანდიდატი ჰყავს შერჩეული, ხოლო, ჯამში, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში მხოლოდ სამი წევრია არჩეული. პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის წევრებად აირჩიეს: ნათელა სახოკია, ექსპერტი საჯარო პოლიტიკის ანალიზისა და განვითარების საკითხებში – „ქართული ოცნების“ კვოტით, ქეთევან მსხილაძე, ჟურნალ „ტაბულას“ ინგლისურენოვანი გამოცემის რედაქტორი – „ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით და მარინა მუსხელიშვილი, „საზოგადოების კვლევის ცენტრის“ დირექტორი – სახალხო დამცველის კვოტით.

თუკი მიმდინარე კვირაში პარლამენტი კვლავ აირჩევს საბჭოს წევრობის სამ კანდიდატს, ეს მაინც არ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ სამეურვეო საბჭო მუშაობას შეუდგეს, ვინაიდან გასული წლის ზაფხულში „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებების თანახმად, საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 9 წევრით, აქედან კი, სულ ცოტა, 7 წევრის არჩევაა საჭირო, რათა ბორდი გადაწყვეტილების მიღებისუნარიანი იყოს. ამ დროისთვის პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს სახალხო დამცველის, საპარლამენტო უმცირესობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატურებს.

რატომ ვერ შეარჩია უმრავლესობამ წარდგენილი 27-დან მისთვის სასურველი სამი კანდიდატი? არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა შესარჩევი კომისიის წევრები ღიად გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ საკითხის პოლიტიზება მოხდა და რომ უმრავლესობაში გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს სურთ, მათთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანონ. ამ თემაზე ვრცელი სტატია გაზეთ „კვირის ქრონიკაშიც“ გამოვაქვეყნეთ, სადაც კომისიის წევრი, ია ანთაძე ამბობს, რომ პარლამენტის მიერ დაკომპლექტებული კომისიის სურვილია საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზება, უმრავლესობას კი არხის პოლიტიზება სურს.



„ალიასთვის“ ცნობილი გახდა იმ დეპუტატის ვინაობა, რომელიც ერთ-ერთია მათ შორის, ვინც პროცესის გაჭიანურებას უწყობს ხელს. „ალიასთან“ საუბრისას ინკოგნიტო წყარო ამბობს, რომ მწერალ დავით მაღრაძეს უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძისთვის უთხოვია, ვილაცებმა ვერ მოასწრეს განაცხადის შეტანაო. სწორედ ამის შემდეგ გაჟღერებულა ინიციატივები უმრავლესობის წევრთა მხრიდან, ვერ ვახერხებთ კანდიდატების შერჩევას და არ არის გამორიცხული, ხელახალი კონკურსი გამოცხადდესო, სადაც, სავარაუდოდ, ის პირებიც შეიტანენ განაცხადს, რომელთაც ბორდის წევრობა სურდათ და ვერ მოასწრეს. ცნობისთვის: ნინელი ჭანკვეტაძესაც ჰქონდა განაცხადი საბჭოს წევრობაზე, თუმცა კომისიამ ის დაიწუნა, ვინაიდან მსახიობს გამოკვეთილი პოზიცია და სიმპათიები აქვს „ქართული ოცნების“ მიმართ. შეგახსენებთ, ნინელი ჭანკვეტაძეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ აქციებიც მიჰყავდა. სწორედ ამ მოტივით თქვა კომისიამ უარი, განეხილათ ჭანკვეტაძის კანდიდატურა.

შეფერხდა თუ არა კონკრეტული პირების გამო პროცესი? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად „ალია“ დავით საგანელიძესთან ცდილობდა დაკავშირებას, თუმცა უმრავლესობის ლიდერმა ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

კიდევ ერთი სიახლე ტელემედიასთან დაკავშირებით. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 20 იანვარს გაასაჯაროვა იმ პირთა სია, რომლებმაც 2013 წლის მეოთხე კვარტალში მაუწყებლებში 7 ათას ლარზე მეტი ოდენობის ტრანზაქცია განახორციელეს. ტელეკომპანია „ტვ 3“-ში 2013 წლის მეოთხე კვარტალში 7 ათას ლარზე მეტი სავაჭრო სამრეწველო პალატამ და პალატის მფლობელობაში არსებულმა კომპანია შპს „საქექსპერტიზამ“ გადარიცხა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და „ტვ 3“-ს ერთი და იგივე ხელმძღვანელი ჰყავდათ — კახა ბაინდურაშვილი.

ბოლო საანგარიშო პერიოდს დაემთხვა საარჩევნო პერიოდის ბოლო თვე – ოქტომბერი, რის გამოც მაუწყებლებში თანხის გადამრიცხველები პოლიტიკური პარტიებიც არიან. კერძოდ, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიან საქართველოს“ (ნინო ბურჯანაძის პარტია) თითქმის ყველა წამყვან ტელევიზიაში აქვს ფინანსური ტრანზაქცია განხორციელებული, „ქართულმა ოცნებამ“ 7 ათას ლარზე მეტი „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ გადარიცხა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი მხოლოდ „რუსთავი 2“-ს გადაურიცხა თანხა. დეტალურად, რომელმა ორგანიზაციამ და კერძო პირმა რომელ მაუწყებელში გადარიცხა თანხა, ამ ინფორმაციის ნახვა კომუნიკაციის ეროვნული კომისიის ვებგვერდზეა შესაძლებელი.

შორენა გოგოლაძე

599 27 75 27

## „თბილისის მთავრობა დათხოვნას იმსახურებს“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, თინა ხიდაშელის აზრით, თბილისის მთავრობა დათხოვნას იმსახურებს. მისი განცხადებით, აზრი რომ ჰქონოდა, საკრებულოში ყოფნის დროს თბილისის მთავრობისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხს ყოველ დილა-საღამოს დააყენებდა.



„მე რომ ამის შესაძლებლობა მქონოდა, დედაქალაქის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს აუცილებლად დავაყენებდი ყოველ დილას და საღამოს, გამომდინარე ძალიან მაღალი ხარისხის უნდობლობიდან, რაც მის საქმიანობას უკავშირდება. ვფიქრობ, რომ თბილისის მთავრობის ის შემადგენლობა, რომელიც ამ წლების განმავლობაში არსებობს სახლში გასაშვებია“, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე განმარტებით, როცა საუბარია კონკრეტულ დანაშაულებზე, მას სჭირდება ადეკვატური რეაგირება და ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს არჩევნების მოახლოებას.

„არჩევნებამდე ორი დღეც რომ იყოს დარჩენილი, თუ საკრებულოს წევრები, გარკვეული კომისია და რაღაც ჯგუფი ჩათვლის, რომ მოხდა ისეთი ტიპის დარღვევა, რომელიც იმსახურებს ასეთ ღონისძიებას, ის უნდა განხორციელდეს, თუკი დეპუტატთა რაოდენობიდან გამომდინარე, ამის შესაძლებლობა ექნებათ. როცა დანაშაული ხდება, მას სჭირდება ადეკვატური რეაგირება და ამ შემთხვევაში კალენდარს მნიშვნელობა არ აქვს“, – აღნიშნა ხიდაშელმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თემები, რომლებიც ქვეყნის დაღმასვლის საწინდარად შეიძლება იქცეს



პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძის შეფასებით, ასეთ თემებს შორის არის ყოფილი პრემიერის, ვანო მერაბიშვილის განცხადების შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, ყოფილ მთავარ პროკურორთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები და თბილისის საკრებულოსა და მერიას შორის ურთიერთობა. თბილისის ანძის გათიშვა არა მარტო „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ დღევანდელი ხელისუფლების კისერზეც არის.

„სულ მცირე, შეშფოთებას იწვევს პროცესები, რომელიც დედაქალაქის მერიასა და საკრებულოს შორის ვითარდება. ვფიქრობ, ეს არა მარტო „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ დღევანდელი ხელისუფლების კისერზეცაა. არ შეიძლება, ბიუჯეტისა და ეკონომიკის პრობლემებით თამაშობდეს როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. აქ, რეალურად, საუბარია იმაზე, თვითმმართველობის არჩევნების წინ ამ ორი მხრიდან რომელმა მოიპოვოს კონტროლი თბილისის მერიასა და საკრებულოზე, რაც პირდაპირ ბადებს ეჭვს, რომ მათ სურთ ადმინისტრაციული რესურსების გაკონტროლება“, – მიიჩნევს ლაგაზიძე.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის განცხადებას, სოზარ სუბარის უწყების დასკვნას, პოლიტოლოგის აზრით, „ეს დასკვნა ბადებს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს, ისევე როგორც მთავარი პროკურორის საქმე. ვფიქრობ, ეს საქმეები ხელისუფლებისთვის იქნება უმძიმესი ლოდი, რომელიც უფრო და უფრო დამძიმდება დროთა განმავლობაში. რაც უფრო მეტად დაიკლებს ხელისუფლების რეიტინგი და დამძიმდება დამოკიდებულება საზოგადოებასთან, მით უფრო ხმაურიანი და მტკივნეული გახდება მუშაობა ხელისუფლებისთვის. მას უკვე დაუგროვდა რამდენიმე ისეთი თემა, რომელიც მისი დაღმასვლის საწინდრად შეიძლება იქცეს“, – აღნიშნა ლაგაზიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ლომის მიერ დაგლეჯილი მომვლელის მდგომარეობა კრიტიკულია

თბილისის ცირკში ლომის მიერ დაგლეჯილი მომვლელის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. მომთვინიერებელი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული და მას ინტენსიური თერაპია უტარდება.



საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის, ნატა ხურციძის განცხადებით, ახალგაზრდა მამაკაცი კლინიკაში მრავლობითი დაზიანებებით მიიყვანეს. მას აღენიშნებოდა კისრისა და გულ-მკერდის მიდამოში მრავლობითი ჭრილობები. მისი განცხადებით, დაჭრილი მამაკაცის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა და ყველაფერი კეთდება მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. (ინტერპრესნიუსი)

# ექსპერტი



**შიდა პოლიტიკაში კვლავ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი, პარალელურად მერიის მხრიდან მავნებლობას აქვს ადგილი, გუშინ ჩააბნელეს ანძა. ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურაში განათლების სამსახურის უფროსი დაიკითხა. მერიის მხრიდან უნდა ველოდოთ თუ არა კიდევ სერიოზულ საბოტაჟებს?**

**დღის მთავარ თემებზე „ალიას“ კითხვებს უპასუხებს ექსპერტი გია ხუხაშვილი:**



# გია ხუხაშვილი — ანძის ჩაბნელებაზე, ევროკავშირის ხელშეკრულებაზე და ევროპელების განცხადებებზე

– ანძის გათიშვას საბოტაჟს ვერ დავარქმევდი, ეს არის მაწაკური და მავნებლური საქციელი, საბოტაჟი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ სანავიგაციო სისტემას საფრთხე შეექმნებოდა, ეს საქციელი კვალიფიცირდება, როგორც პოლიტიკური დემარში. ეს არის ყავლგასული ყოფილი ხელისუფლების ნარჩენი. ბუნებრივია, ისინი ცდილობენ, პოლიტიკური ბრძოლის ველად აქციონ ქალაქის მერია, ეს არის მათი ბოლო გაბრძოლება, მაგრამ მეორე მხრივ, მე არ გამოვიყენებდი ბიუჯეტის მესამედ ჩაგდების გზით, ქალაქის ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობას. ადგილობრივ არჩევნებამდე სამი თვით ადრე მათი გაშვება და ცენტრალური მმართველობის დაწესება ქალაქზე, ჩემი აზრით, პოლიტიკურად უფრო საზიანოა დღევანდელი ხელისუფლებისთვის, რადგან, სანამ ისინი გაერკვევიან, რეორგანიზაციას ჩაატარებენ, არჩევნებიც მოვა და ამ ორ-სამ თვეში, ყველა ის პრობლემა, რომელიც ქალაქშია, ხელისუფლებას შეუტრიალდება. ამას „ნაციონალური მოძრაობა“ გააკეთებს ნამდვილი საბოტაჟით და ამ პრობლემებზე პასუხისმგებლობას დააკისრებს მმართველ გუნდს. დაფიქრებაა საჭირო, ღირს თუ არა ასეთ ესკალაციაზე წასვლა.

**— რუსული მედიით გავრცელებულმა ევროკავშირის მხრიდან ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარის ფილიპ ლეფორის განცხადებამ, რომ სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, დიდი ხანია განსაზღვრულია, საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის აღშფოთება და გაკვირვება გამოიწვია. ამ განცხადებას მეორე დღესვე ფილიპ ლეფორის განმარტება მოჰყვა, რომ მას ეს არ უთქვამს. ამ პროვოკაციული განცხადების მიღმა დგას თუ არა რუსეთი?**

– შეიძლება რამდენიმე ევროპელი პოლიტიკოსის მხრიდან წამოვიდეს მსგავსი ტიპის განცხადება, მაგრამ მე გამოვრიცხავ, რომ ასეთი განცხადებები მისაღებია ევროპული პოლიტიკისთვის. ჩვენ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთპიროვნულ განცხადებებს, მით უფრო მაშინ, როცა ეს არ დასტურდება, რომ ლეფორმა მსგავსი რამ განაცხადა. გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ეს არის აბსოლუტურად გამორიცხული, ჩვენ ვხედავთ, რა პროცესები მიდის, სად გადის ფრონტის ხაზი ევროკავშირსა და რუსეთს შორის და აქ ერთ-ერთი ბრძოლის ველი არის საქართველო და მისი ტერიტორიული მთლიანობის თემა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩვენ ზოგიერთის მარგინალური განცხადება მოვისმინოთ, მაგრამ ამაზე არ უნდა ვინერვიულოთ.

**— პირადად თქვენ გაქვთ წაკითხული ევროკავშირის ათასგვერდიანი ხელშეკრულება, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს საქართველომ.**

– არ მაქვს წაკითხული, ეს ძალიან დიდი თემაა და ვაპირებ, ეს დოკუმენტი შევისწავლო. ამ დოკუმენტში, რა თქმა უნდა, არის ჩრდილოვანი მხარეები, არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ვიღაც ჩვენი ლამაზი თვალებისთვის გულში ჩაგვიხუტებს და მათ მხოლოდ კეთილი მიზნები ამოძრავებთ და არა თავიანთი პრაგმატული ამოცანები.

**— ვინც ამ დოკუმენტს გაეცნო, ამბობენ, რომ ხელშეკრულებაში საქართველოს მიმართ წაყენებულია კაბალური პირობები, ორ წელიწადში ვერც ერთი ქართველი მწარმოებელი ვერ მოახერხებს ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას, თუნდაც ის იყოს „აისო სერტიფიკატის“ მფლობელი. მინიმუმ 20 წელია საჭირო, რომ ევროპის სრულფასოვან სტანდარტებს მივუახლოვდეთ. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ გამოვიყურებით, როგორც ევროკავშირის მონა და არა პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საქართველოში უფრო მეტად გაძვირდება პროდუქტი და ჩვენ ვიქნებით ქვეყანა, სადაც მას ეყოლება იაფი მუშახელი. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ევროპა რჩება მოგებული და არა საქართველო.**

– ხელშეკრულების პროექტი არ არის დოგმა, რა თქმა უნდა, არსებობს რისკები, მაგრამ ჩვენ არჩევანი გაკეთებული გვაქვს. ევროკავშირს აქვს თავისი პლუსები და მინუსები... ამ ვითარებაში, რაშიც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს, ისე, რომ დამცავი მექანიზმები არ ამუშავდეს, რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის ინტეგრაცია ევროკავშირთან არის საფრთხის შემცველი, რომ ჩვენ საბოლოოდ ვიქცეთ მომხმარებელ ქვეყნად, რაც ნიშნავს, რომ არ გვქონდეს საკუთარი წარმოება და ვიქცეთ გასაღების ბაზრად. ზუსტად ამაზეა საუბარი, რომ ამ ხელშეკრულებაში ჩვენი პირობები უნდა ჩავდოთ. წესით, ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულიც უნდა იყოს და თუ ეს ასე არ არის, ძალიან ცუდია. ჩვენ რომ დღევანდელი მდგომარეობით შევიდეთ ევროკავშირში, რა თქმა უნდა, ეს მძიმე პროცესებს გამოიწვევს, მაგრამ საქმე ზუსტად ისაა, რომ ჩვენ გარკვეული გზა გვაქვს გასავლელი ევროკავშირამდე... ჩვენ გარკვეული პერიოდი გვაქვს, ვიდრე ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, უნდა მუშაობდეს ჯგუფი, რომელიც ამ რისკებს შეისწავლის. სხვათა შორის, ძალიან ცუდია, რომ დისკუსიები არ იმართება ამ თემაზე, ეკონომიკური რისკი არ არის ერთადერთი, ჩვენი კულტურული ფასეულობები ევროპისთვის არ არის დამახასიათებელი და მისაღები, ვიღაცას ეს მოსწონს თუ არა, ეს არის რეალობა, ამ მიმართულებითაც ძალიან დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რომ მოხდეს ჩვენი კულტურული სივრცის ევროპასთან ჰარმონიზაცია და თუ ეს არ მოხდება, ჩვენი ურთიერთობა იქნება ძალიან ხელოვნური და შეიძლება ძალიან სერიოზული დრამატული პროცესების დასაწყისიც გახდეს.

**— დაბოლოს, საგარეო პოლიტიკური კუთხით 2014 წელი საქართველოსთვის იქნება გადამწყვეტი, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას დაჩქარებული წესით ხელს მოვაწერთ და ასევე, გააქტიურდა საქართველოსთან მიმართებაში ნატო. საქართველოში სულ მალე ჩამოვა ნატოს სამხედრო კომიტეტი, რომლებმაც ვიზიტი 2013 წელს გადადეს და გადადების მიზეზად დასახელდა გენერალ გიორგი კალაძის ხმაურიანი დაკავება. უნდა ველოდოთ მაპის დაჩქარებული წესით მიღებას?**

– ფაქტია, რომ დასავლური სტრუქტურები ჩქარობენ, თვითონ გააღეს კარი ფართოდ. ეს არის ძალიან რთული პოლიტიკური საკითხები და მე დღეს გამიჭირდება რაიმე პოლიტიკური შეფასების გაკეთება, რადგან მოვლენები განვითარდა ძალიან დინამიკურად და დღეს მე არ შემიძლია კონკრეტული პასუხი გაგცეთ. გააქტიურებულები არიან ამ პროცესში, ევროატლანტიკური და ევროპული სტრუქტურები, ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ყურადღებით და კარგად უნდა გავთვალოთ ყველა პლუსი და მინუსი. ჩვენ, ერთი მხრივ, არჩევანი გაკეთებული გვაქვს, მაგრამ მეორე მხრივ, მუდმივად უნდა ვითვალოთ მოსალოდნელი რისკები.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თანამშრომლებს პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ?



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბეჟაშვილი რუსთავის მერიიდან თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებაზე საუბრობს. მისი თქმით, რუსთავის მერიის ტერიტორიული მართვის ორგანოებიდან 10 თანამშრომელი გაათავისუფლეს.

„ჩვენ მოვუწოდებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს, შეისწავლონ პოლიტიკური ზეწოლის ეს ფაქტები და მისცენ შესაბამისი კვალიფიკაცია. ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური ნიშნით ასეთი დისკრიმინაცია არ უნდა ხდებოდეს. იმავდროულად არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ამ 10 ადამიანის განთავისუფლებით ხდება საბიუჯეტო თანხების ეკონომია. ჩვენი ინფორმაციით, განცხადებები უკვე აქვთ დაწერილი იმ ადამიანებს, რომლებიც უნდა მიიღონ უკვე განთავისუფლებული ამ 10 თანამშრომლის ნაცვლად“, – განაცხადა ბეჟაშვილმა.

რუსთავის მერი დავით ჯიქია ბეჟაშვილის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან არავინ გაუთავისუფლებიათ. ტერიტორიული მართვის ორგანოებში დასაქმებულ მხოლოდ ექვს თანამშრომელს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ამის მიზეზი კი მათი არაკვალიფიციურობა იყო. (ინტერპრესნიუსი)

## ვინც ანძა გათიშა, პასუხი უნდა აგოსო



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშიას განცხადებით, უნდა დადგეს იმ პირთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც თბილისის ანძის გარე განათების გათიშვის გადაწყვეტილება მიიღო. „თბილისის საკრებულო არა ანძის გარე განათების გათიშვაზე, არამედ მის რეაბილიტაციაზე საუბრობდა. ვწუხვარ, რომ თბილისის მთავრობამ ვერ გაარჩია ის კრიტიკა, რაც საკრებულოში ისმოდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ანძის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა და უბინაოთათვის გამოყოფილი თანხა ერთმანეთს არ შეესაბამებოდა. ანძა უკვე 3 წელია, რეაბილიტაციას საჭიროებს“, — განაცხადა სამუშიამ.

მისი განმარტებით, ფირმას, რომელსაც ანძის რეაბილიტაციის ექსკლუზიური უფლება ჰქონდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ნათესაური კავშირის გამო, რეაბილიტაციის უფლება ჩამოართვა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ უსწორდებოდა „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ ოპონენტებს და ამით თბილისელების ინტერესებს არაფრად აგდებდა. (ინტერპრესნიუსი)





# კულუარები

# რატომ დატოვეს არასაპარლამენტოთა ერთობა ასათიანმა და ჯავახაძემ?

არასაპარლამენტო პარტიებმა შეიტყვეს, რომ ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს, ანუ ადგილობრივ არჩევნებში თბილისის მერს ავირჩევთ 40 პროცენტით, ხოლო რეგიონებში გამგებლებსა და მერებს – 33 პროცენტით. ხელისუფლების ასეთმა პრინციპულობამ უკვე შეარყია არასაპარლამენტო „ერთობა“ და „თორმეტიანი“ გახდა „ათიანი“ – აკაკი ასათიანმა („ტრადიციონალისტებმა“) და სერგო ჯავახიძემ („სამართლიანი საქართველოსთვის“) ქუდები უკვე დაიხურეს. უახლოეს ხანში „ათიანის“ დატოვებას აპირებენ „ლეიბორისტებიც“.







აკაკი ასათიანის თქმით, არასაპარლამენტო პარტიებს არ გააჩნიათ ერთიანი გეგმა და სტრატეგია, მათ არ იციან, როგორ აიძულონ ხელისუფლება, რომ შეაცვლევინონ გადაწყვეტილება. არასაპარლამენტოებში არიან ისეთებიც, რომლებიც გამოთქვამენ აზრს ქუჩაში გამოსვლისა და ხელისუფლების გადაყენების თაობაზე, მაგრამ ამაზე ბევრი იცინის, რადგან დღეს ქუჩაში 100 კაცის გამოყვანაც კი არავის შეუძლია.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაიმართება ქუთაისში ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომა, იქნება დაძაბული ლაპარაკი და დაპირისპირება, მაგრამ, როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, არავითარი დათმობა არ იქნება, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ კახა კუკავამ უკვე დაიწყო ვაჭრობა ხელისუფლებასთან. როგორც წყარო საუბრობს:

„წინა არჩევნების დროს ბიძინამ არ მისცა ფული. ძალიან ცუდად იქცევა, ახალი წლის დღეებში ხაბურძანიასთან შეხვედრებიც ჰქონდა. ამ დროს არასაპარლამენტო პარტიებსაც ატყუებს, კაი კაცის როლს თამაშობს და ირაკლი ღარიბაშვილს ტალახში სვრის, 40-პროცენტიანი ბარიერი მაგისი მოგონილია, დავით ნარმანიას სხვანაირად თბილისის მერად ვერ გაიყვანსო. ეს არის დიდი სისულელე, ვინც კარგად ერკვევა სიტუაციაში, აუცილებლად მიხვდება, რომ ირაკლი ღარიბაშვილს სულაც არ აინტერესებს – ამ საქმეში იყენებს არასაპარლამენტო პარტიებს და ეწევა შავ პიარს, თითქოს 40-პროცენტიანი ბარიერი პრემიერ-მინისტრის ახირებაა, დავით ნარმანია. კუკავა სამმაგ თამაშს თამაშობს: პირველი – ისევ ძველებურად ევაჭრება ხელისუფლებას და ცდილობს, გააკეთოს ის, რაც არ გამოუვიდა 2012 წელს ბიძინა ივანიშვილთან, მეორე რუსები არავის ფულს არ მისცემენ... უკანონო ფულით არჩევნებში შესვლას არავის ვურჩევ, ასეთ მესამე – უშიშროების ყოფილი მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას საშუალებით გავიდეს რუსებზე, ფულის შოვნის მიზნით. ამჯერად ხომერიკები და ებრალიძეები მას აღარ ენდობიან“.

მოსკოვში მცხოვრები ბატონი ვალერი ხაბურძანია „ალიასთან“ საუბარში ადასტურებს, რომ ახალი წლის წინა დღეებში ის მართლაც შეხვდა კახა კუკავას, შეხვედრა შედგა მოსკოვში:

„კახა კუკავას შევხვდი მოსკოვში, „ქართველთა კავშირის“ მიერ მოწყობილ საღამოზე, პაატა ბურჭულაძესთან. ვისაუბრეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე, გვაქვს ბევრი საერთო ხედვა, თუმცა არის განსხვავებები. მე ადგილობრივ არჩევნებში არ ვმონაწილეობ... ისე, რომ იცოდეთ, ინფორმაციას მე პირველი გავასაჯაროებ“.

აქ ერთი მომენტი მართლაც არის გასათვალისწინებელი... შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ადგილობრივი არჩევნები მაინც ტრამპლინია მომავალ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

ეს სიმართლეა, დღევანდელი ტექნოლოგიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებას ვერაფერს გამოაპარებ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაში კახა კუკავა ხელისუფლებასთან ვაჭრობის მაზანდის აწევას ცდილობდეს. ერთი რამ ცხადია, აკაკი ასათიანი და სერგო ჯავახიძე მიხვდნენ, რომ არასაპარლამენტო პარტიების „ერთობაში“, რომელსაც, რატომღაც, ოპოზიციას უწოდებენ, რაღაც ისე არ არის და ამიტომაც „დაახვიეს“ სასწრაფო წესით.

ცოტა გაუგებარია „ლეიბორისტების“ პოზიცია, როცა ბატონი შალვა ნათელაშვილი მთელი დღე და მოსწრება კუკავას ფულისმოყვარეობაზე ლაპარაკობდა. ინკოგნიტო წყარო გვირჩევს, ყურადღებით დავაკვირდეთ კახა კუკავას საქციელს, ის აგრესიას გამოხატავს მხოლოდ ერთი ადამიანის, ანუ პრემიერ-მინისტრის მიმართ, მსგავსი გამოხტომებით არ გამოირჩევა, მაგალითად, დავით უსუფაშვილისა და სხვა მინისტრებისა თუ პარლამენტარების მიმართ. მას ჰგონია, ერთ მშვენიერ დღეს ირაკლი ღარიბაშვილი დაუძახებს და ეტყვის: კახა, მითხარი, რამდენი გინდა და თავი დამანებეო.

ქართული პოლიტიკა რომ უკვე ბიზნესადაა ქცეული, ეს ვიცით, „ნაციონალებმა“ მშვენივრად დაგვანახეს. ბიზნესიც არის და ბიზნესიც, როცა პარტია იარაღით ვაჭრობაზე გადის და საერთაშორისო მაფიის ნაწილი ხდება, ის უნდა აიკრძალოს და საერთოდ, ჩვენი პოლიტიკური სივრცე კარგა გვარიანადაა გამოსაგველი, რათა მუდმივად ფულისკენ არ იყურებოდნენ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მომსახურების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელად შსს-ს საფინანსო და სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ოთარ დანელია დაინიშნა.

სააგენტოს პრესსამსახურის განცხადებით, დანელიას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. მან მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს პირველივე შეხვედრაზე მადლობა გადაუხადა წარმატებული საქმიანობისთვის და სამომავლო გეგმებსა და პროექტებზე ესაუბრა.

მომსახურების სააგენტოს ყოფილი დირექტორი ნინო კობახიძე საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილედ დაინიშნა და სახელმწიფო კანცელარიის მთავრობის ადმინისტრაციად გარდაქმნისა და რესტრუქტურიზაციის პროცესს უხელმძღვანელებს. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველო დედამიწაზე დაკვირვების ჯგუფის წევრი გახდა

გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, დედამიწაზე დაკვირვების ჯგუფი კოორდინაციას უწევს დედამიწაზე გლობალური დაკვირვების სისტემათა სისტემის შექმნას. 10-წლიანი დაკვირვების გეგმის საფუძველზე, მათი მიზანი და მოსალოდნელი სარგებელი, საქმიანობის ცხრა პრიორიტეტულ სოციალურ სფეროდ იყოფა: კატასტროფები, ჯანმრთელობა, ენერგია, კლიმატი, წყალი, ამინდი, ეკოსისტემები, სოფლის მეურნეობა, ბიომრავალფეროვნება.

მინისტრთა სამიტის მაღალი რანგის მე-10 და პლენარული სესიის შეხვედრა ჟენევაში, იანვარში შედგა და საქართველო 90-ე ქვეყნად გაწევრიანდა. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტი მუშაობას განაახლებს



პარლამენტი 22 იანვარს რიგგარეშე სხდომების ფორმატში მუშაობას განაახლებს. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი კანდიდატების დამტკიცების საკითხი ის ძირითადი თემებია, რაზეც პარლამენტი რიგგარეშე სხდომებზე იმსჯელებს.

სავარაუდოდ, პარლამენტი მიმდინარე კვირის რიგგარეშე სხდომაზე, მეორე მოსმენით „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონპროექტსაც დაამტკიცებს, რადგან ის წამყვანმა – ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განიხილა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

## ახალი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი — გზა ფინანსური პოლიციიდან მთავარ პროკურატურამდე

## და ... პირველი კომპრომატი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, მთავარ პროკურორად გიორგი ბადაშვილი დანიშნა. მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ის დაიბადა 1981 წელს და დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 2006 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველოს გამომძიებლად მუშაობდა, მოგვიანებით, 2008 წელს მუშაობდა ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს გამომძიებლად, ხოლო 2011 წელს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსის მოადგილედ, მოგვიანებით დაწინაურდა და დაინიშნა სამმართველოს უფროსად. 2013 წლის ნოემბერში დანიშნეს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

რა რისკზე წავიდა ირაკლი ღარიბაშვილი მთავარ პროკურორად გიორგი ბადაშვილის დანიშვნით?

როგორც „ალიას" პროკურატურასთან დაახლოებული წყარო უყვება, უწყებაში არავინ ელოდა, რომ ისევ ოთარ ფარცხალაძის კადრი დაიკავებდა მთავარი პროკურორის ადგილს. უწყებაში გაჩნდა შიში, რომ შესაძლოა, მოკლე ხანში ყველაფერი ისევ აირიოს, ვინაიდან „ნაციონალებს" თავისი გუნდის ყველა ყოფილ წევრზე აქვთ მაკომპრომეტირებელი მასალები, მით უფრო იმ ადამიანებზე, ვისი წყალობითაც ათას უკანონობას სჩადიოდნენ. ცნობილია ისიც, თუ ფინანსური პოლიციის მიერ რამდენი ადამიანია დატერორებული წლების განმავლობაში და რამდენად უკანონოდ ჩამოართვეს ქონება. არ არის გამორიცხული, უახლოეს დღეებში უშუალოდ ბადაშვილის მიერ დაზარალებულმა მოქალაქეებმაც მიაკითხონ მედიასაშუალებებს და ღიად ისაუბრონ მის მიერ ჩადენილ უკანონობაზე.



ასეთი პიროვნება უკვე გამოჩნდა სოციალურ ქსელში. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუკში" წერს: „უიიიიი, ახლა მწერენ ამ ბადაშვილისგან დაზარალებულნი. ჰი ჰიიიი ფარცხალაძის ხელისბიჭი და ბიზნესის დამწიოკებელი ეს იყოო. მალადეც თქვენ, ოცნებავ, მალადეც. აჰაა, რაც მომწერეს, იმის ნაწილი: ბატონო გიორგი, მოგესალმებით. მე, როცა ფარცხალაძე დაინიშნა მთავარ პროკურორად, ჩაგერთეთ პირდაპირ ეთერში და მოგახსენეთ, ვინ იყო ფარცხალაძე ფინანსურ პოლიციაში. ასევე, გეუბნებით, ჩვენ გვახსოვს, ფინანსურ პოლიციაში გიორგი ბადაშვილი როგორ აბუჩად იგდებდა ადამიანებს. რა მიკვირს, იცით? ეს რა ხელისუფლებააააა, ვერ გავიგეთ, ან ვინ მოვიდნენ, თუ კიდევ ამ დამნაშავეებისთვის და ჩვენი დამტერორებლებისთვის უნდა გვეყურა?!!!" – წერს ერთ-ერთი მოქალაქე ჟურნალისტს.



როგორც „ალიას" ბადაშვილის ნაცნობი უყვება, ახალი მთავარი პროკურორი საშუალო დონის პროფესიონალია, თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს, ერთი მხრივ, კარგიც არის, რადგან პრემიერის ეს გადაწყვეტილება პროკურატურის რეაქციული პოლიტიკის გაგრძელებაზე მიუთითებს. თუმცა აქვეა რისკი, რადგან, თუკი სისტემას გავლენიანი ხელმძღვანელი არ ჰყავს, შეიძლება უწყება დაიქსაქსოს და ამ დროს უწყებაში დარჩენილმა ნაცაგენტებმა თავისი საქმე იოლად აკეთონ.

ერთი კი ცხადია, პროკურატურაში უკვე ელოდებიან ოპერატიულ მუშაობას და რისკიან გადაწყვეტილებებსაც, როგორც ეს ფარცხალაძის შემთხვევაში იყო. პრემიერ ღარიბაშვილსა და მის წინამორბედ ივანიშვილს სურდათ, სამართლიანობა ისევ „ნაციონალების" გამოზრდილი კადრებით აღედგინათ, როგორც ჩანს, მმართველი გუნდი ამ პოლიტიკას აგრძელებს.

ახლა კი მოკლედ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები ბადაშვილის გაგენპროკურორებამდე. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ, სანდო წყაროზე დაყრდნობით, „ალია" წერდა, რომ ღარიბაშვილის ახლო გარემოცვაში ირაკლი შოთაძისა და შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელის ალექსანდრე ფერიაშვილის კანდიდატურებს განიხილავდნენ. მას შემდეგ, რაც შოთაძის შესაძლო გაპროკურორების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, „ნაციონალებმა" განგაშის ზარს შემოჰკრეს და აყვირდნენ, შოთაძის დანიშვნა მთავარ პროკურორად ნიშნავს, რომ ოთარ ფარცხალაძე არსადაც არ წასულაო. გარდა ამისა, ადვოკატ ირმა ჭკადუას თქმით, შოთაძემ ერთ-ერთ საქმეში „დეენემის" ექსპერტიზის დასკვნა დამალა. ამ ფაქტების წამოწევის შემდეგ შოთაძის კანდიდატურაზე საუბარი შეწყდა.

ამის შემდეგ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ მთავარ პროკურორად შს მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი ინიშნებოდა, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ზედელაშვილზე საუბარიც შეწყდა. „ალიას" სანდო წყარო ამბობს, რომ პრობლემა, ზედელაშვილის არაკვალიფიციურობა იყო. გარდა ამისა, მას ნათელმირონობა აკავშირებს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან და ეს აუცილებლად გახდებოდა ისედაც აყაყანებული „ნაციონალების" სალაპარაკო. ამის გამოა, რომ პრემიერ-მინისტრმა თავი შეიკავა მისი დასახელებისგან.

ამის შემდეგ პრემიერმა თავის უახლოეს გარემოცვას, მათ შორის შსს-ს ხელმძღვანელობას დაავალა, რომ ყველა შერჩეული შესაძლო კანდიდატის ბიოგრაფია გამოეკვლიათ. რა მოიკვლიეს ბადაშვილზე, უცნობია, მაგრამ ფაქტია, ის უკვე ქვეყნის პირველი პროკურორია.

როგორც ერთ-ერთი წყარო „ალიასთან" აცხადებს, მომავალ პროკურორს მეტად რთული მისია აკისრია, რადგან პროკურატურაში აქტიურად დაინტერესდნენ იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის საკითხით. ქვეყნიდან გაქცეული „ნაციონალების" „რუხი კარდინალის" საქართველოში ჩამოყვანა და „ვირის აბანოში" გასტუმრება, სწორედ მთავარი პროკურორის კვალიფიკაციაზე იქნება დამოკიდებული.

»» შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ღარიბაშვილმა მოსწავლეს წერილი და საჩუქრები გაუგზავნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოფელ მაქართის დაწყებითი სკოლის IV კლასის მოსწავლეს, ბაჩო წიკლაურს წერილი და საჩუქრები გაუგზავნა.

როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტის „ფეისბუქის" გვერდზეა აღნიშნული, 16 იანვარს, ბაჩო წიკლაურს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაგზავნილი წერილი და საჩუქრები გადაეცა – პერსონალური კომპიუტერი და ველოსიპედი. ბაჩო წიკლაური მაქართის სკოლის ერთადერთი მოსწავლეა. „ბაჩო! ჩვენო პატარა ვაჟკაცო! მთელმა საქართველომ გაიგო, რომ გუდამაყარში, მაქართის სკოლას ერთადერთი მოსწავლე ჰყავს — ბაჩო წიკლაური, საამაყო ბიჭი. კარგი სწავლით, დიდი ნებისყოფით და, რაც მთავარია, მშობელი მიწისა და მთების სიყვარულით, შენი ერთგულებით უკვე ემსახურები სამშობლოს. სწორედ შენ და შენი ოჯახი იცავთ ჩვენს ქვეყანას, თქვენნაირი ადამიანების მხრებზე იდგა და დღემდე მოვიდა საქართველო. მადლობა თქვენ ამისთვის! ბევრ სიხარულსა და ნატვრის ასრულებას, სამშობლოს აყვავებასა და ძლიერებას გისურვებ, ჩვენო სასახელო პატარა ვაჟკაცო, სამშობლოს ერთგულო მცველო!", – ნათქვამია წერილში. (ინტერპრესნიუსი)

### თბილისის ბიუჯეტს ფულის პრობლემა არ აქვსო




ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის თქმით, გასული წლის ბოლოს თბილისის ბიუჯეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან მისთვის განკუთვნილი ტრანსფერი სრული მოცულობით გადაერიცხა.

„გასული წლის ბიუჯეტში, პრობლემების მიუხედავად, თბილისის ბიუჯეტმა სრულად მიიღო კანონით გათვალისწინებული ტრანსფერი. დღეის მდგომარეობით, თბილისის ბიუჯეტის ანგარიშზე არის 56 მილიონი ლარი, თვის ბოლომდე ცენტრალური მილიონიდან მიიღებს 37 მილიონის ტრანსფერს და მას ექნება საკუთარი შემოსავლებიც. ბიუჯეტის ერთი მეთორმეტედის პრინციპიდან გამომდინარე, მას თვეში მხოლოდ 60 მილიონი სჭირდება. ასე რომ, ფულის პრობლემა თბილისის ბიუჯეტს ნამდვილად არ აქვს", – განაცხადა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK


რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# ექსკლუზივი

## რატომ ჩამოაწერა მინისტრმა ხადურმა „თეგეტა-მოტორსს“ და „თიბისის“ ვალები?

**„ალიას“ საზოგადოებრივი ინიციატივების გაერთიანების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ზვიად გობეჯიშვილი ესაუბრა:**



ზვიად გობეჯიშვილი

**— ბატონო ზვიად, უკვე ვხედავთ, რომ ფასები იზრდება, ლარის კურსი „გარბის“. რას აკეთებს ნოდარ ხადური?**

– დაუყოვნებლივ გასატარებელია გადამჭრელი ზომები, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის განსახორციელებლად. ამის ფონზე საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა გახდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ, კომპანიებისთვის თანხების საბიუჯეტო გადასახადების ე.წ. პატიებისა და ჩამოწერის შესახებ.

**— კონკრეტულ კომპანიებს ხომ არ დაასახელებდით?**

– დიახ, ფინანსთა სამინისტრომ საქართველოში მოქმედ მსხვილ კომპანიებს აპატია დაკისრებული საგადასახადო თანხები. ათეულობით მილიონი ლარის ჯარიმა ეპატია კომპანია „საირმეს“, რომელიც ეკუთვნის „თეგეტა მოტორსის“ ერთ-ერთ მფლობელს თემურ კოხოძეს. ასევე განთავისუფლდნენ „შატო მუხრანი“ და „სანატორიუმი-სასტუმრო ოაზისი“, რომელთაც, საერთო ჯამში, 10 მილიონ ლარამდე ეპატიათ. ჯარიმები ეპატია კომპანია „ბლექ სი პროდაქტ“-ს და ა. შ.

**— რა დამსახურების გამო ეპატიათ ამ რაოდენობის თანხა?**

– სწორედ ეგაა საქმე. გაუგებარია, რა პრობლემები შეექმნათ ამ მსხვილ კომპანიებს ისეთი, რომ გადასახადების გადახდა გაუჭირდათ. აქ ნიშანდობლივია ერთი გარემოება, არ მოხდეს ისე, რომ შეღავათი გაეწიოთ მათ, რომლებსაც მეტი შესაძლებლობა აქვთ და არ გაეწიოთ მათ, ვისი შესაძლებლობის ზღვარიც მინიმალურია. ამ კომპანიებს უფრო შეეძლოთ გადახდა, ვიდრე იმათ, რომლებიც დღეს გაკოტრების ზღვარზე არიან. მაგალითისთვის, ვინ არის თემურ კოხოძე? 2008-2012 წლებში იყო პარლამენტის წევრი. ბოლო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ის 9 კომპანიის მესაკუთრე ან თანამესაკუთრე იყო, მათ შორის „თეგეტა ჯგუფის“ კომპანიების, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიების ერთ-ერთი მთავარი შემომწირველი და, ასევე, სახელმწიფო კონტრაქტების მსხვილი მიმღები იყო. მაგალითად, 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს კომპანიამ „ნაციონალურ მოძრაობას“ 500 000 ლარი შესწირა, ხოლო 2012 წელს 3 მილიონ ლარზე მეტი მიიღო გამარტივებული, ანუ უკონკურსო სახელმწიფო შესყიდვების გზით. 2011 წელს კომპანიამ საკუთრებაში მიიღო მიწის ნაკვეთები კურორტ საირმეში, რომლებიც მანამდე ადგილობრივმა მოსახლეობამ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა. ასევე, ეპატია ჯარიმები „თიბისი ჯგუფს“, რომლის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე საზოგადოებისთვის ნაცნობია და ასევე, ცნობილია მისი ფინანსური იმპერიების შესახებ.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ პროცედურას, საშეღავათო პრინციპი მისაღებია, რადგან ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის გამო ფორსმაჟორულ სიტუაციაშია, მაგრამ კომპანიების შერჩევის გაუმჭვირვალობა სერიოზულ კითხვებს ბადებს, რომ ეს მექანიზმები კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარეობს.

**— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც წინა ხელისუფლების დამფინანსებლებს აპატიეს ამხელა თანხა?**

– დღეს არ მეგულება საწარმო, მათ შორის ხელისუფლებაში ინტეგრირებულიც, რომელსაც პრობლემა არ შექმნია. თუმცა, მიჩნდება ეჭვი, რომ დასახელებული კომპანიები ყველაზე ნაკლებად საჭიროებდნენ დახმარებას. როდესაც საუბარი იყო ფინანსურ ამნისტიაზე, ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ბატონი დავით საგანელიძე, გვარწმუნებდნენ, რომ ფინანსური ამნისტიის მიღება მიზანშეწონილი არ იქნებოდა ახლა იმის გამო, რომ შესაძლო იყო წინა ხელისუფლებასთან, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არსებულ კომპანიებსაც მიეღოთ ამნისტია და ამით ერთგვარად თავი დაეძვრინათ. შესაძლოა, ამ კომენტარში რაღაც ლოგიკა იყოს, მაგრამ ზემომოყვანილი ფაქტები საპირისპიროზე მიგვანიშნებს.

**— ფინანსთა სამინისტრო ამ ბოლო დროს გაუგებარ პოლიტიკას ატარებს, რა თამაშს თამაშობს?**

– გეთანხმებით და ამ ყველაფრის ფონზე გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ 2013 წლის ბოლოს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო შემოწმების მოთხოვნები გაუგზავნა, ფაქტობრივად, ყველა იმ სამეწარმეო სუბიექტს, რომლებიც საქმიანობას ეწეოდნენ კონკრეტულად 2007 წელში. რატომ განსაკუთრებულად 2007 წელი? აბსოლუტურად გაუგებარია და კითხვებს ბადებს. შედეგად ამისა, გვაქვს ის, რომ ეს პროცესები ჯერ არ დასრულებულა, უამრავი დარიცხვა, ჯარიმა-საურავია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სადავოა და მეწარმეების ისედაც გაუბედურებულ ყოფას კიდევ უფრო აუტანელს ხდის. რატომღაც საგადასახადო ორგანოს თავის ვალდებულებად მიაჩნია, ვინმე აუცილებლად დააჯარიმოს. არადა, პირდაპირ უწერიათ საგადასახადო კოდექსში, რომ უნდა დაიცვან როგორც სახელმწიფოს, ასევე გადასახადის გადამხდელის ინტერესები, გადასახადები სწორად აღრიცხონ და არა იმ პრინციპით, რომ ბიუჯეტის შევსება იყოს თვითმიზანი. მომავალშიც ხომ უნდა არსებობდეს ის, ვინც რეალურად ამ ბიუჯეტს შეავსებს. საგადასახადო შემოწმების ვადები არ უნდა აზარალებდეს გადასახადის გადამხდელს.

**— რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსთა სამინისტროს ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელ და ნაჩქარევ ქმედებებს?**

– ჩემთვის ცნობილია რამდენიმე საწარმო, რომლის მეპატრონეებმა ხელი ჩაიქნიეს საქმის წარმოებაზე და ურჩევნიათ, მათი წარმოება დალუქული იყოს, ან სულაც საქართველო დატოვოს და სხვაგან ეძებოს საქმე მანამ, სანამ რამე უკეთესობისკენ შეიცვლება. ეს კი საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე საინვესტიციო გარემოზე.



**— ხომ არ გამოიწვევს ეს საზოგადოების მხრიდან ისედაც დისკრედიტებული უწყების მუშაობის მიმართ კიდევ უფრო მეტ უნდობლობას, როცა ხადური ასეთ მაქინაციებს მიმართავს?**

– ჩვენ მიგვაჩნია რომ, სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული ბიუჯეტის გამჭვირვალობის პროცესში. გადასახადის გადამხდელს ჰქონდეს ინფორმაცია მის მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ. საზოგადოებამ ნახოს, რამდენად სწორად და ეფექტურად დაიხარჯა მის მიერ გადახდილი გადასახადები, რა სარგებელი მოუტანეს ამ გადასახადებმა სახელმწიფოს, ეკონომიკასა და თითოეულ მოქალაქეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესზე, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ძალოვანი სტრუქტურების გავლენა მოხსნილია და ბიზნესგარემო გაცილებით კონკურენტული გახდა, კვლავ ბუნდოვანია სახელმწიფოს ხედვა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც ბიზნესგადაწყვეტილებების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ სახელმწიფომ არ იზრუნა ამ მიმართულების გამოსწორებაზე და არ ჩამოაყალიბა ნათელი ეკონომიკური ხედვა, ეს ფაქტორი ეკონომიკური ზრდისთვის შემაფერხებელი მომენტი გახდება. დღევანდელმა ხელისუფლებამ, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ხელი არ უნდა შეუშალოს კერძო სექტორისა და ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებას, რაც განმსაზღვრელია ადამიანების კეთილდღეობის ზრდისთვის.

**რა კრიტერიუმით შეარჩია ფინანსთა სამინისტრომ „თეგეტა-მოტორსი“ და „თიბისი ჯგუფი“, ამაზე „ალია“ სამინისტროსგან განმარტებას ელის.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეს ოკუპაციის გაგრძელებაა



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ფსოუზე ე.წ. სასაზღვრო ზოლის გაზრდა ყოვლად მიუღებელია და ოკუპაციის გაგრძელებას წარმოადგენს. მისი თქმით, ზოლის გაზრდის თარიღად მითითებულია 21 მარტი და იგულისხმება ოლიმპიადის უსაფრთხოება.

„ჩვენ ვიმოქმედებთ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. არ ავყვებით ემოციებს, ვიქნებით პრაგმატულები, კარგად განვსაზღვრავთ, ვინ გვყავს მეტოქე. არ ვაპირებთ, ვინმეს თვალებში ჩავხედოთ და პატიოსნება დავინახოთ იქ, სადაც ეს არ არსებობს, არც მეგობრებს ვეძებთ ასეთი მეთოდებით.

ჩვენ ვხედავთ რეალურ ძალას და ამ რეალურ ძალას დავუპირისპირებთ რეალურ ძალას. საქართველოს სახელმწიფო შესაძლოა, ზომით პატარაა, მაგრამ თავისი როლითა და გავლენით რეგიონსა და მსოფლიოში არანაკლებ ძლიერია“, – აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, კირილ ლავროვის განცხადებასაც ეხმაურება: „ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ რუსეთი აფასებს საქართველოს ხედვებს და პოლიტიკას სოჭის ოლიმპიადის მიმართულებით. რაც შეეხება ახალ რეალიებს, ის მართლა არსებობს. ახალი რეალობა არის ის, რომ რუსეთი ველარ იქნება სამშვიდობო პროცესში ჩართული, ვერ იქნება მესამე ძალა, როგორც იყო ადრე. რუსეთი არის აგრესორი ძალა, ოკუპანტი მხარე და შესაბამისად, რეალობა შეიცვალა. საქართველო მკაფიოდ და ცალსახად, უკანმოუხედავად მიდის ნატო-სკენ, ევროპული ინსტიტუტებისკენ, შესაბამისად, ლავროვსა და რუსეთს ამისთვის თვალის გასწორება მოუწევთ და ეს არის ახალი რეალობა, რომელსაც საქართველო შექმნის კავკასიაში“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, ლავროვის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის განვითარებას თბილისის მიერ 2008 წლის ომის შემდეგ, რეგიონში შექმნილი რეალობის არაღიარება ამუხრუჭებს. (ინტერპრესნიუსი)

## „ტერიტორიების ოკუპაციას არასოდეს შევეგუებით“



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ქვეყანა არასოდეს შეეგუება ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციას და მისი ორი რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. მისი თქმით, „აქედან გამომდინარე, შეიცვლება თუ არა რეალობა, ეს არის დამოკიდებული არა მხოლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, არამედ დამოკიდებულია საერთაშორისო ნორმებზე და საერთაშორისო თანამეგობრობაზე. არის ჩვენი წითელი ხაზები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ვახდენთ მხოლოდ და მხოლოდ ამ წითელი ხაზებისა და იმ ძირითადი პრინციპების შენარჩუნებით, რასაც ჰქვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ამის საზიანოდ არ მოხდება არავისთან ურთიერთობების ნორმალიზება, მათ შორის რუსებთან“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)



## ალიაქოთი



# რის გამო დასცინიან „ნაციონალები“ მარგველაშვილს?

ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სიზმარა“ ხომ გინახავთ? იქ ბოროტი მეფე სიას კითხულობს და ამბობს: „ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა... ხელს ვაწერ მეფე“... ანუ ბოროტი მეფეც კი (თან მულტფილმში) არ ბედავს და წერილობითი დოკუმენტის გარეშე ბრძანებას არ იძლევა. ასე მალე როგორ აუვარდა თავში, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ სევდია უგრეხელიძე ზეპირ ბრძანებებზე გადავიდა. როგორც გაირკვა, თბილისის ტელეანძა სწორედ უგრეხელიძის ზეპირი ბრძანების საფუძველზე გამორთეს და ისე ჩანს, ამის გამკეთებელი მერიიდან ზეპირი ბრძანებების მოსმენასა და მათ უსიტყვო შესრულებას მიჩვეული უნდა იყოს. მერე ანძა ისევ ჩართეს, ხოლო ანძის განათების გამორთვის გამო პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და ვარაუდობენ, რომ ეს ამბავი სევდიანად დასრულდება. პარალელურად, თბილისის საკრებულოს უმრავლესობამ მერიას უნდობლობა გამოუცხადა და მათი გადადგომა მოითხოვა. გიგი უგულავას რომ გაუგია, ხელები გაუშლია, როგორ გადავდგე, ერთხელ ხომ გადავდექი უკვეო, თუმცა გიგის გადადგომა-გადმოდგომისთვის უკვე ნაკლებად სცხელა და ახლა იმას ფიქრობს, სამსახურის დაკარგვასთან ერთად, თავისუფლებაც არ დაკარგოს. და კიდევ ერთი დეტალი: როცა სატელევიზიო ანძა გამორთეს, ეს ამბავი კახა კუკავას დაუმალეს. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების რეფორმასთან დაკავშირებით საარჩევნო ბარიერზე მომატებული 5 პროცენტის გაცხადების შემდეგ, კუკავამ აღნიშნა, ეგ 5 პროცენტი დაახვიონ და ერთ ადგილზე შეინახონო და ხომ წარმოგიდგენიათ, ანძის გათიშვა რომ გაეგო, რა ამბებს ატეხდა.

სევდია უგრეხელიძეს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა, გიორგი გაჩეჩილაძემ მას შეუტია და მიმართა, ანგელოზივით რომ ნაბავ თვალებს, ამიხსენი, თბილისის მერიამ 2009-2011 წლებში 18 ათასი ხის მოჭრის ბრძანება რატომ გასცაო. ბატონო გიორგი, ჯერ ერთი, აშკარად გეტყობათ, რომ არც ანგელოზი გინახავთ რეალურად და არც მისი თვალები და მეორეც, 2009-2011 წლებში 18 ათასი ხის კი არა, ნახევარი საქართველოს დაჭერის ბრძანება გაიცა და იმაზე არავინ აგებს პასუხს...

მოგეხსენებათ, გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით თურქეთში იმყოფება და ატყდა ერთი ამბავი, ჩვენი პირველი პირი იქ რომ ჩაფრინდა, ტრაპთან მისი თურქი კოლეგა, აბდულა გიული არ დახვდაო. ჰოდა, „ნაციონალებმა“ დაცინვა დაიწყეს, მარგველაშვილს არავინ აღიარებსო და... თქვე კაი ხალხო, აბდულა გიული კი არა, თუ მთვრალი არ იყო, სააკაშვილს დედამისი, გიული ალასანია არ ხვდებოდა ხოლმე ტრაპთან და დიდი რამე, აბდულამ თუ ვერ მოიცალა. რამდენად არის ეს ოფიციალურად შეურაცხმყოფელი, ვერ გეტყვით, თუმცა იმას კი მოგახსენებთ, რომ მარგველაშვილს თურქეთში ქართველი ვეტერანი ფეხბურთელები, შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი შეხვდნენ, თუმცა, საბედნიეროდ, ფეხბურთი არ უთამაშიათ, თორემ შეურაცხყოფა მერე გენახათ.

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ვერ მიიღო და დიდი ალბათობით, ახალი კონკურსი გამოცხადდება. როგორც კი ამის ალბათობა გაჩნდა, სამეურვეო საბჭოს კანდიდატთა სახელით, „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ია ანთაძემ განაცხადა, ჩვენ, როგორც თავმოყვარე ადამიანების ჯგუფი, ვამბობთ, რომ ამ პროცესში აღარ მივიღებთ მონაწილეობასო. ზოგადად, თავმოყვარეობა ძალიან კარგია, მაგრამ ცუდია, როცა მხოლოდ მაშინ გახსენდება, როცა რაიმე ადგილის დაკარგვისა თუ ვერდაკავების შიში გიჩნდება და არ გახსენდება მაშინ, როცა ასობით ათასობით გრანტს იღებ, მშვიდად მოიხმარ (რბილად რომ ვთქვათ, მიირთმევ) და მერე გამოდიხარ და სხვებს ამუნათებ, როგორ გაბედეთ და ჩემს სასარგებლოდ გადაწყვეტილება როგორ არ მიიღეთო. თუ ვინმეს არ სჯერა, რომ გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება, ახლავე თქვან უარი და თუ არა, ზეწოლას ნუ ახორციელებენ, აქაოდა დემოკრატიას თელავენო.



დღის ბოლოს, როგორც იქნა, გვაღირსეს და ახალი მთავარი პროკურორის კანდიდატურა დაასახელეს. თეა წულუკიანმა ირაკლი ღარიბაშვილს გიორგი ბადაშვილის კანდიდატურა წარუდგინა. როგორც გავიგეთ, პრემიერს გასცინებია, ჩემი შერჩეული კანდიდატურა მე რომ წარმიდგინეთ, რა წესიაო, მაგრამ აუხსნეს, რომ „პროკურატურის კანონის“ მეცხრე მუხლის შესაბამისად, სწორედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ, ირაკლიმაც სახიდან ღიმილი მაშინვე მოსხიპა და საქმიანი იერი დაიბრუნა. გუშინვე, „ნაციონალებმა“ ევროკავშირის მასშტაბით ტელეგრამები აფრინეს, თუ ბადაშვილს სადმე ვინმე ჰყავს დაყაჩაღებულ-გაძარცულ-გალახული, არ დაგვიმალოთო, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, მანამდე ანალოგიური ცნობები „ქართული ოცნების“ წევრებმა აფრინეს და... ბადაშვილი „კაი ბიჭია“ და „პრისტუპნიკი“ არ არის.

„კაი ბიჭზე“ გამახსენდა და, საპატრულო პოლიცია ახალი ავტომანქანების შეძენას გეგმავს და რამდენიმე მათგანი წარადგინა კიდეც. ავტომანქანები ამერიკულ სტილშია გადაწყვეტილი, ანუ შავია და ხომ ვიცი, ატეხენ ახლა „ნაციონალები“ ერთ ამბავს, შავი ფერი სპეციალურად შეარჩიეს, კრიმინალებს მხარდაჭერას უცხადებენო. არადა, მიშამ მთელი პრეზიდენტობა შავი ჯიპით ჩაამთავრა და ხმა არავის ამოუღია.

არის ასეთი კაცი, ნილს მუჟნიკსისი და მისი თანამდებობა ოფიციალურად ასე ჟღერს – ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისარი. ჰოდა, ეს კაცი საქართველოში იმყოფებოდა და იმის მიუხედავად, რომ მაია ფანჯიკიძემ არაერთგზის შესთავაზა, საოკუპაციო ხაზთან მივიდეთო, მუჟნიკსისმა უარი განაცხადა, საამისოდ მზად არ ვარო. ფანჯიკიძემ ხელები გაშალა, თქვენი არ ვიცი, მე გაოცებული დავრჩიო და ეს რეაქცია გამოუცდელობის ბრალი მგონია. გაოცებული კი არა, უნდა აღშფოთდეთ და უნდა შეშფოთდეთ ქალბატონო მაია, გაოცებას, გაკვირვებასა და გაოგნებას ევროპელები არ აღიარებენ და ძალაა?

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წულუკიანი სენატის წარმომადგენლებს შეხვდა



იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი სენატის წარმომადგენელთა დელეგაციას შეხვდა. შეხვედრას აშშ-ის ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი და იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე ბარამიძე და გოჩა ლორთქიფანიძეც ესწრებოდნენ. იუსტიციის სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე საუბარი საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილ რეფორმებს შეეხო.

„ჩვენს პარტნიორებს აინტერესებდათ ის რეფორმები, რომლებიც უკვე განახორციელა იუსტიციის სამინისტრომ და რომელთა განხორციელებასაც მიმდინარე წელს ვისახავთ მიზნად იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ სამართლიანი სასამართლოს, დამოუკიდებელი მოსამართლის და ასევე, ყველა ის უფლება, რომლებიც იცავს თითოეულ მათგანს. სწორედ ეს არის დღეს ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევა“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტრომ ამერიკელი სტუმრებისგან საქმიანობაში მხარდაჭერის პირობა მიიღო. (ინტერპრესნიუსი)

## ეს ჩვენს ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს




ოლიმპიადასთან დაკავშირებით უსაფრთხოების ზომების მიღებაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე, – აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე.

მისი თქმით: „საერთოდ, ნებისმიერი ასეთი ფორმატის ღონისძიება დგას იმ საფრთხის ქვეშ, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს. ასეთი შემთხვევები სხვა ოლიმპიადებზეც ყოფილა, ამიტომ აქ განსაკუთრებული არაფერია, რომ ქვეყნის მხრიდან უსაფრთხოების ზომები იყოს გაძლიერებული, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე. თუკი ეს სიტუაცია ოლიმპიადის შემდეგაც შენარჩუნდება, ჩვენი განცხადებები იქნება კიდევ უფრო მწვავე და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობა, რომ უფრო აქტიურად დაგმოს რუსეთის მხრიდან მსგავსი ქმედებები“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ინტერპრესნიუსი)

# ყველაზე მეტი ცე ვიტამინი ლიმონშია?



აბა, მოგადგათ თქვენდა უნებურად ნერწყვი? ასე იცის ხოლმე, როცა ლიმონს თუნდაც უბრალოდ ახსენებენ ხოლმე.

ისე, თუ იცოდით, რომ ლიმონი სულაც არ არის ის პროდუქტი, რომელიც ცე ვიტამინის რაოდენობითაა გამორჩეული?

შეცდომის დაშვების ლოგიკა ძალიან მარტივია: ცე ვიტამინი მჟავეა და მჟავეა ლიმონიც. ესე იგი, პირველი ბევრია მეორეში.

სინამდვილეში, ლიმონში ნაკლები ცე ვიტამინია, ვიდრე თუნდაც კომბოსტოში და ვიტამინის შემცველობის მოცულობით ლიმონი ახლოსაც ვერ დაუდგება კივს.

რაც შეეხება ლიმონის მომჟავო გემოს, ამის მიზეზი მინორული ნივთიერებებია (ასეთი სახელწოდება იქიდან სულაც არ მომდინარეობს, რომ ნივთიერებები მოწყენილობას იწვევს, უბრალოდ, მათი კონცენტრაციაა დაბალი).

აი, ჩამონათვალი, რომელიც დაგეხმარებათ, მიხვდეთ, 100 გრამ საჭმელად ვარგის პროდუქტში რა რაოდენობის ცე ვიტამინი შედის მილიგრამებში: მწვანე ხახვი – 30; ტკბილი მწვანე წიწაკა – 150; ოხრახუში – 150; ფორთოხალი – 60; გრეიფრუტი – 60; ლიმონი – 40; კივი – 200.

***mainfun.ru; otvet.mail.ru***

# თაგვები ყველზე მართლა გიჟდებიან?



ძალიან ბევრ მულტფილმსა თუ მხატვრულ ფილმში, თაგვებს ხაფანგზე ყველს უგებენ ხოლმე. ჰოდა, ბევრს ჰგონია, რომ მსუნაგი მღრღნელების საყვარელი სასუსნავი სწორედ ყველია.

სინამდვილეში თაგვები გიჟდებიან ყველაფერზე, რაც იჭმევა. მაგალითად, კარაქი, ხორბალი, ლორი, ძეხვი, მოკლედ, ნებისმიერ რაღაცას ისინი ერთნაირი სიხარულით გადასანსლავენ.

უბრალოდ, ძველ დროში, სხვა პროდუქტებთან ერთად, ყველი ღიად ინახებოდა და რაღა თქმა უნდა, თაგვები ასეთ შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. მითიც სწორედ ასე წარმოიშვა.

საერთოდაც, თუკი არჩევანი ყველსა და ქონს შორის იქნება, სამიდან ორი მღრღნელი არჩევანს ამ უკანასკნელზე შეაჩერებდა.

შეგიძლიათ ექსპერიმენტიც ჩაატაროთ: თუკი თქვენს მეზობელს ხმაურიანი მუსიკის მოსმენა ხიბლავს და თხოვნასა და მუქარას ყურადღებას არ აქცევთ, სახლში დამშვიდებული სახით ეწვიეთ და როცა დროს იხელთებთ, მისი მუსიკალური ცენტრის სადენები ქონით გაპოხეთ. ამის შემდეგ ნამდვილად მშვიდად დაიძინებთ: თაგვები ქონზე ჭკუას კარგავენ, მუსიკაზე კი დიდად არ გიჟდებიან...

***copypast.ru***

# საშიშია თუ არა 25-ე კადრი?



გამოგიტყდებით და 25-ე კადრის მიმართ არც ჩვენ ვიყავით მთლად მეგობრულად განწყობილნი, თუმცა როგორც ჩანს, სიტუაცია სულ სხვანაირი ყოფილა.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ სინამდვილეში 25-ე კადრი მონიტორის დასხივებაზე საშიშიც კი არ არის.

ამტკიცებენ, რომ ხუმრობა 25-ე კადრის შესახებ ამერიკელმა კინოგამქირავებლებმა გამოიგონეს. მათ გარკვეული ცდების შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ შესაძლებელი იყო ადამიანის იძულება, მაგალითად, ეყიდა პოპკორნი, თუკი ყოველი 24 კადრის შემდეგ გამოჩნდებოდა მოწოდება „ჭამე პოპკორნი!“.

ამ სიახლემ ობივატელები იმდენად სერიოზულ შოკში ჩააგდო, რომ მას შემდეგაც კი, რაც ტყუილის ავტორებმა ყველაფერი აღიარეს, მცდარი მოსაზრების დღემდე ბევრს სჯერა.

უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში კანონიც კი არსებობს, რომელიც 25-ე კადრის გამოყენებას კრძალავს.

სპეციალისტების თქმით, ასეთი კანონების არსებობა, უბრალოდ, სასაცილოა, რადგან მსოფლიოში დღემდე არ არსებობს არც 25-ე კადრის მქონე ვიდეორგოლები და არც იმის მტკიცებულება, რომ მითიური ტექნოლოგია საერთოდ მუშაობს.

***pronowosti.ru***

## რატომ იქექებიან მაიმუნები ერთმანეთის ბალანში?



კი, ბატონო, სანახაობა სასიამოვნო ნამდვილად არ არის და მასზე დაკვირვებას ადამიანი, ალბათ, არ მოინდომებს. ჰოდა, ინებეთ მცდარი შეხედულება!

სპეციალისტების მტკიცებით, რაზეც თავს ვერ დავდებთ, რადგან ასეთი ექსპერიმენტი არ ჩაგვიტარებია, თუკი ადამიანი ყურადღებით დააკვირდება მაიმუნების ქცევას, ალბათ, მიხვდება, რომ მათი ბალანი იმდენად იშვიათია, იქ რწყილებს თავის გატანა ძალიან გაუჭირდებოდათ.

სინამდვილეში, პრიმატები ერთმანეთს ბალანს იმიტომ უქექავენ, რომ იქ ოფლის კრისტალები იპოვონ, რომელიც დელიკატესად მიიჩნევა, რასაკვირველია, მაიმუნების კულინარიული მისწრაფებებიდან გამომდინარე.

***maximonline.ru***

## ეფექტური საშუალება ხველის წინააღმდეგ



ბავშვობიდან კარგად გვახსოვს, მშობლები ხველების დროს შოკოლადს კატეგორიულად გვიკრძალავდნენ... ეეჰ, რა ტყუილად დაგვიკლია პირის ჩატკბარუნების შანსი?

უახლესი კვლევებით დადგინდა, რომ შოკოლადი ეფექტურად ებრძვის ხველებას. კერძოდ, მასში შემავალი კაკაოს განსაკუთრებული კომპონენტი ამცირებს როგორც მწვავე, ისე ქრონიკულ ხველას.



პოპულარული ტკბილეულის ეფექტურობა ექსპერიმენტის დახმარებით დამტკიცდა, რომელშიც ქრონიკული ხველის მქონე 300 ადამიანი მონაწილეობდა. მოხალისეები შოკოლადიდან გამოყოფილ ტეობრომინს 2 კვირის მანძილზე დღეში 2-ჯერ იღებდნენ. შემთხვევათა 60 პროცენტში შედეგი საგრძნობი აღმოჩნდა.

სპეციალისტების განმარტებით, შავ შოკოლადში საკმარისი აქტიური ნივთიერებაა, რომელიც ქრონიკულ ხველაზე გავლენას ახდენს.

და კიდევ ერთი – როგორც კი მოხალისეებმა შოკოლადს თავი დაანებეს, ხველების სიმპტომები მალევე დაბრუნდა. ამის გამო, პროდუქტის მიღება რეკომენდებულია სრულ გამოჯანმრთელებამდე.

***myjane.ru***

# მეცნიერების მტკიცებით, პორნოგრაფიის ყურება მეხსიერებას ვნებს



ადამიანის ფსიქიკაზე რომ არცთუ სახარბიელოა პორნოგრაფიის გავლენა, დიდი ხანია, ცნობილი ფაქტია. რაც შეეხება მის ზიანს მეხსიერებაზე, ეს უკვე ახალი ამბავია.

როგორც ამბობენ, ინტერნეტში პორნოგრაფიული სურათებისა თუ ფილმების ყურება თავის ტვინის იმ მონაკვეთზე ახდენს უარყოფით გავლენას, რომელიც გარკვეული დავალების შესრულებაზეა პასუხისმგებელი. კერძოდ, ეს მონაკვეთი მუშაობს აღქმაზე, მსჯელობასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე.

გერმანელმა მეცნიერებმა 28 ჰეტეროსექსუალ ახალგაზრდა მამაკაცს კომპიუტერში ფოტოების დათვალიერება შესთავაზეს. ზოგიერთი ფოტო – პორნოგრაფიული, დანარჩენები კი არასექსუალური ხასიათის იყო. პარალელურად, მათ სხვადასხვა



კითხვაზე პასუხი უნდა გაეცათ.

აღმოჩნდა, რომ პორნოგრაფიული ფოტოების თვალიერებისას, სწორი პასუხების რაოდენობამ 67 პროცენტი შეადგინა, ხოლო არაპორნოგრაფიულის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მინიმუმ 80 პროცენტამდე გაიზარდა.

შედეგად დასკვნაც შესაბამისი გამოვიდა: სექსუალური აღგზნება თავის ტვინის მუშაობას აფერხებს...

***mainfun.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# იდუმალებით მოცული ფსიქიკური დაავადებები




**4. მოძრაობითი ისტერია**

შუა საუკუნეებში მონასტრებში მცხოვრებთა შორის ისტერიული მდგომარეობების შესახებ არაერთი ინფორმაცია ვრცელდებოდა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ მონასტერში მცხოვრებმა მონაზვნებმა უეცრად კნავილი, ხეებზე ცოცვა და, ზოგადად, კატებივით მოქცევა დაიწყეს.

1400 წლიდან მსგავსი ეპიდემიები 300 წლის მანძილზე ჩნდებოდა მთელი ევროპის მასშტაბით. ერთ-ერთი უკანასკნელი შემთხვევა 1749 წელს გერმანიაში, კერძოდ კი ვიურცბურგში დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც მონაზვნებს მასობრივი გულყრები და პირიდან დუჟის დენა დაეწყოთ. მომხდარში ერთ-ერთი ქალი დაადანაშაულეს, მას ჯადოქრობა დასწამეს და თავიც მოჰკვეთეს.

ჩვეულებრივ, ეპიდემიები ჩერდებოდა მონასტერში მღვდლის ვიზიტისა და შავ-ბნელი ძალების განდევნის რიტუალის ჩატარების შემდეგ.

უოლერი (მეცნიერი, რომელიც საცეკვაო შავ ჭირს იკვლევდა), ვარაუდობს, რომ მონაზვნებში გავრცელებული ეპიდემიების მიზეზი შესაძლოა, სტრესული მდგომარეობა და რელიგიური ტრანსი ყოფილიყო.

ძველ დროში ხშირად ხდებოდა ხოლმე, როცა ქალებს მონასტრებში ძალით გზავნიდნენ. ამასთანავე, ეს იყო ადგილები, სადაც საკმაოდ მკაცრი წესები მოქმედებდა, განსაკუთრებით, სწორედ 1400 წლის შემდეგ. რელიგიური გულმოდგინება და სულიერი ჭიდილი ბევრს ძალას აცლიდა და ნერვების შეკავება შეუძლებელი ხდებოდა. ჰოდა, ნებისმიერი უცნაური საქციელი შავ-ბნელი ძალების ჩარევით აიხსნებოდა, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოსდევდა ხოლმე.

– ისინი თავად უშვებდნენ იმის ალბათობას, რომ შეიძლება ბნელი ძალების გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ და ამ როლს ქვეცნობიერად ირგებდნენ ხოლმე, – წერდა უოლერი.

**5. კონვულსიების ეპიდემია წმინდანის საფლავთან**

1727 წლის 1-ელ მაისს ფრანსუა დე პარი გარდაიცვალა. ის პარიზში, სენ-მედარის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს. აბატის სიკვდილის შემდეგ გადაწყდა, რომ ის წმინდანად შერაცხულიყო, რის გამოც, მორწმუნეები მის საფლავს აღარ შორდებოდნენ. გაჩნდა არაერთი ინფორმაცია სასწაულებრივი განკურნებების შესახებ. მაგალითად, განიკურნენ კიბოიანები, ყრუ-მუნჯები, უსინათლოები... და ამით ყველაფერი როდი სრულდება. აბატის ჭირისუფლებს რაღაც უცნაური სპაზმები და კონვულსიები ემართებოდათ, მათი კიდურები უცნაურად იგრიხებოდა. კონვულსიები გადამდები აღმოჩნდა და ხანძარივით სწრაფად ვრცელდებოდა. სულ უფრო მეტი მამაკაცი, ქალი და ბავშვი იკრუნჩხებოდა, თითქოს რაღაც საშინელი წყევლა უღებდა ბოლოს.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები შედიოდნენ ტრანსში და უჩვეულო შესაძლებლობებს ავლენდნენ. მაგალითად, შეეძლოთ წარმოუდგენელი წამების გაძლება.

ეს სასწაულებრივი მოვლენები უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მას ათასობით ადამიანი აკვირდებოდა. კოლექტიური ფსიქოზი აბატ პარის საფლავთან ძალიან ბევრი დღე და ღამე გრძელდებოდა. მეტიც, 20 წლის გასვლის შემდეგაც სასწაულები კვლავაც ხდებოდა. როგორც ქალაქის უძველეს ხელნაწერშია მითითებული: „საჭირო იყო 3 ათასამდე მოხალისე, რომლებიც თუნდაც იმას აკვირდებოდნენ, რომ კონვულსიების დროს ქალები პატიოსნების ზღვარს არ გასცდენოდნენ“.



ამ ყველაფერმა უამრავი ადამიანის ყურადღება მიიპყრო, რომლებიც აბატის საფლავზე მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილიდან მიდიოდნენ. ერთ-ერთი თვითმხილველია პარიზის პარლამენტის წევრი ლუი-ბაზილ კარ დე მონჟერონი, რომელმაც იმდენი სასწაული იხილა, რომ მათ აღწერას 4 სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა.

ლუდოვიკო XV უშედეგოდ ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას, რისთვისაც სენ-მედარის სასაფლაოს დახურვა ბრძანა. ამის გამო ვოლტერმა სარკასტულად განაცხადა: „მეფის ბრძანებით, ღმერთს სასწაულების მოხდენა აეკრძალა“...

*factroom.ru*





დედა თავის დიდლოყება შვილს ასეირნებს. ქუჩაში ბავშვს გამვლელი ენის მოჩლექით მიეფერება:

– ლად გინდა ამხელა ლოკები, ლად გინდა ამხელა ლოკები?

– ლად მინდა, ბიძია და ვინმეს ლომ კოცნა მოუნდება, ტაკოზე ხო ალ ვაკოცნინებ?

*****



– რა იყო, კოტე, რამ გაგამხიარულა ასე?

– რამ და სიდედრი გავაცილე, მატარებელში ჩავსვი და გავუშვი, როგორც იქნა!

– და ცხვირ-პირი რატომ გაქვს ასეთი დასვრილი?

– ლიანდაგებს ვკოცნიდი, კაცო, ლიანდაგებს!!!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***



1. ფიროსმანაშვილის სოფელი
2. მსახიობი ... სიგალი
3. ხალიჩა
4. ძველი ფილმების ჩვენება
5. მონღოლი დიდებული
6. მხ/ფ „მიდიოდა ...“
7. მხ/ფ „ზოლიანი ...“
8. მომღერალი სოფია ...
9. ლეშისმჭამელი ფრინველი
10. ქრისტიანთა წმინდა თასი
11. ხორცის ნაჭერი
12. დოსტოევსკის რომანი
13. გამოსამარგლი ბალახი
14. ბალახი
15. მომღერალი ენრიკე ...
16. მადრიდის საფეხბ. კლუბი
17. ბერძ. ანბანის მეორე ასო
18. სასულე ინსტრუმენტი
19. კონტინენტი
20. საკეგრავი მანქანის ფირმა
21. მდინარე კახეთში
22. რაიონი, ანუ ...
23. ჰავაიური გიტარა
24. სიო
25. რეპტილია
26. მსახიობი მარლონ ...
27. მწერალი ... უაილდი
28. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
29. ვაზის ჯიში
30. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
31. მსახიობი ... ლიოტა
32. მეზღვაურის დამხმარე ბიჭი
33. ორადგილიანი ველოსიპედი
34. ქალაქი იაპონიაში
35. „სწავლობს ... ტიტინა“
36. ქალის პატარა ხელჩანთა
37. მსახიობი ... მური
38. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით
39. ქედი საქართველოში
40. მსახიობი ... დე ფიუნესი
41. ქართ. სასიმღერო ანსამბლი
42. მკერდის კორექციის მასალა
43. ჯუჯა ჟირაფი
44. ბულგარული არაყი
45. სრული გამარჯვება ძიუდოში
46. ლერწმის არაყი
47. მსახიობი ... გარდნერი
48. იაპონური ჭადრაკი
49. პრეზიდენტი ... ობამა
50. ...-ანჯელესი
51. სწრაფი ტემპი მუსიკაში
52. „... დე ბერჟერაკი“
53. მსახიობი ... ტაილერი
54. „სამგროშიანი ...“
55. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
56. ქალაქი ბელორუსში
57. ... პუგაჩოვა
58. ერთთვალა გოლიათი ბერძ.მით.
59. იაზონის გემი
60. ცხენ-ირემი
61. გაზაფხულის თვე
62. მომღერალი ... სოხაძე
63. მსახიობი ... პარიიო
64. დიკენსი. „ოლივერ ...“
65. ლაშქარი
66. გაუშლელი ფოთოლი
67. ვირას საპირისპირო ბრძანება
68. თვითნასწავლი მხატვრობა
69. რეჟისორი ჯონ ...
70. „მაუგლი“ მგელი
71. რეპტილია
72. ჩვილის სიტყვა

**სკანვორდი**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გერმანელმა მამაკაცმა პოლიციას სთხოვა... ბავშვები დამაძინებინეთო



არ გაჭრა არც ზღაპარმა, არც ბუებითა და გუდიანებით დაშინებამ, არც გაბრაზებამ და სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრა, ადგა და პოლიციაში დარეკა — ბავშვებს ვერ ვაძინებ და იქნებ მიშველოთო...

ასეთი უჩვეულო თხოვნით 31 წლის მამაკაცმა ვაიდენის პოლიციას მიმართა.

აღმოჩნდა, რომ მრავალშვილიანი მამა ბავშვებთან მარტო პირველად დარჩა — ცოლი ნათესავებს სტუმრობდა და... მას შემდეგ, რაც გამთენიისას 5 თვის ტყუპებსა და მათ 2 წლის დას გაეღვიძათ, თითქოს შეთანხმებულები არიანო, სამივემ გულამოსკვნილი ტირილი მორთო. მამაკაცმა ცოლთან დარეკვა სცადა, თუმცა უშედეგოდ.

ბევრი ეცადა, ბავშვები დაეშოშმინებინა და დაეძინებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და სასოწარკვეთილმა მხოლოდ ისღა მოიფიქრა, პოლიციაში დაერეკა.

რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, პოლიციამ ნერვებმოშლილ მამიკოს უარი არ უთხრა, მისამართზე მივიდა და ბოლოს და ბოლოს, ბავშვების დაძინება ერთობლივი ძალებით წარმატებით მოხერხდა.

*vz.ru*

## მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილი



ლონდონის ერთ-ერთ ბარში მომზადებული კოქტეილი დამსახურებულად მიიღებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილის წოდებას.

როგორც ირკვევა, კოქტეილის ერთი პორცია 5,5 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს და გინესის წიგნს სასმელის შემქმნელებმა უკვე გაუგზავნეს რეკორდის დაფიქსირების მოთხოვნა.

კოქტეილის ავტორი ბარ „სალვატორეს“ მფლობელი, კონიაკების ექსპერტი და კოქტეილების მომზადების სპეციალისტი სალვატორე კალაბრეზეა.

ცნობილია, რომ მის კოქტეილში შედის 1788 წლის კონიაკი, 1770 და 1860 წლების ლიქიორები და 1900 წლის ანგოსტურა (ვენესუელური ალკოჰოლური სასმელი).

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთები „ალია“ და „ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**22 იანვარი:** სასურველია, დღეს ფინანსურ საკითხებს მიხედოთ. ხელმძღვანელობას უთხარით, რომ ხელფასის მომატებას იმსახურებთ, მევალეებს კი ვალი შეახსენეთ.

**კურო 22.04-21.05**

**22 იანვარი:** თქვენს გარეგნობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ვიღაცაზე შთაბეჭდილების მოხდენა მოგიწევთ და უმჯობესია, ეს შთაბეჭდილება სასიამოვნო იყოს.

**ტყუპები 22.05-21.06**

**22 იანვარი:** მშვენიერი დღეა მოსალოდნელი, არავითარი პრობლემა, პირიქით, კეთილგანწყობილი გარემოცვა, ალბათ, ეს დღე ასეც ჩაივლის.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**22 იანვარი:** შეიძლება დღეს უბრალო გართობაც კი დიდ პრობლემად გექცეთ. თუ გართობის ჟინს ვერ იოკებთ, უსაფრთხოების წესები მაინც დაიცავით.

**ლომი 23.07-22.08**

**22 იანვარი:** საშუალება მოგეცემათ, გავლენა მოახდინოთ ადამიანებზე, რომლებსაც საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების უფლებამოსილება გააჩნიათ. თუ მოინდომებთ, შეგიძლიათ, ეს შანსი გამოიყენოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**22 იანვარი:** შეიძლება ჩათვალოთ, რომ საქმეები მოამთავრეთ და დასვენების დრო მოვიდა, მაგრამ გაწბილება გელით, ეს საქმის მხოლოდ ერთი ეტაპია და წინ დიდი გზა გელით.

**სასწორი 23.09-22.10**

**22 იანვარი:** ეს დღე იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა დილიდანვე მოქმედების სწორი რიტმის შერჩევას. ოღონდ არ იჩქაროთ, თორემ სრულიად უუნარო გახდებით.

**მორიელი 23.10-21.11**

**22 იანვარი:** მთლიანად საკუთარ აზრებსა და მოქმედებებზე იქნებით კონცენტრირებული, ვერაფერი თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს, თუკი რამე არაორდინარული არ მოხდა.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**22 იანვარი:** თუ ვინმემ იცის, რა გჭირდებათ სინამდვილეში, ეს მხოლოდ თქვენ ხართ. ამიტომაც, რის მიღწევა და მიღებაც გინდათ, ესეც მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტი იქნება.

**თხის რქა 22.12-19.01**

**22 იანვარი:** თუ სურვილი გაქვთ, საზოგადოებისთვის რამე სასარგებლო გააკეთეთ. სწორედ ეს საქმიანობაა დღეს თქვენთვის შესაფერისი.

**მერწყული 20.01-18.02**

**22 იანვარი:** ფინანსებს მოუფრთხილდით. დაფიქრდით, მართლა იმ თანხის დახარჯვას აპირებთ გართობაში, რაც ჩაიფიქრეთ?

**თევზები 19.02-20.03**

**22 იანვარი:** არის ალბათობა, რომ დღეს ადამიანებზე გარკვეული ძალაუფლება გაგიჩნდეთ, მაგრამ არც ის პასუხისმგებლობა დაივიწყოთ, რაც მხრებზე დაგაწვებათ.

**თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი**

ინგლისური ენის გაძლიერებული კურსები **Total English** ყველასთვის. სწავლა დაიწყება 3 თებერვალს.
**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 10, ოფისი 38.
**ტელეფონი:** 222-45-32, 236-98-66

**თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი აცხადებს მიღებას ინტენსიურ ექსპრესკურსებზე:**

- საბუღალტრო აღრიცხვა
- სამედიცინო მარკეტინგი
- ქონების რეგისტრაციის სამართლებრივი რეგულირება.

სწავლა დაიწყება 4 თებერვალს.
**მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 10, ოფისი 38.
**ტელეფონი:** 222-45-32, 236-98-66

### ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოს ჩატარების პროექტის ტენდერი №(1/7) 2013

ერაყის რესპუბლიკის საელჩო თბილისში აცხადებს ტენდერს საელჩოს შენობის რეკონსტრუქციისა და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარებაზე. საინჟინრო სფეროში დაკავებულმა კომპეტენტურმა საკონსულტაციო ოფისებმა და კომპანიებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტენდერში მონაწილეობის მიღებაში, მიმართონ ერაყის საელჩოს თბილისში სატენდერო დოკუმენტაციის შეძენისთვის (ფასი: 150 აშშ დოლარი, არადაბრუნებადი თანხა).

სატენდერო შემოთავაზება უნდა წარმოდგენილ იქნეს დაბეჭდილ კონვერტში, რომელზეც გარკვევით უნდა ჩანდეს ტენდერის ნომერი №(1/7) 2013. შემოთავაზებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 20 თებერვალი, 16:00.

ის შემოთავაზება, რომელიც არ დააკმაყოფილებს სატენდერო პირობებს, განხილული არ იქნება. საელჩო იტოვებს უფლებას, მიიღოს ან უარი განაცხადოს შემოთავაზებაზე, მიზეზების ახსნის გარეშე.

მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში:

ტელეფონი : *+995 32 2234501*
ფაქსი: *+995 32 2294503*
ელექტრონული ფოსტა : **iraqiageoemb@yahoo.com**



– აბა, საყვარელო, რადგან უკვე ჩემი ცოლი ხარ, გულახდილად მითხარი, რამდენი მამაკაცი გყავდა?

– პირობას მაძლევ, რომ არ მეჩხუბები?

– გპირდები!

– კარგი, ჰო — შვიდი.

– ანუ მე მეშვიდე ვარ?

– არა... შენ მეოთხე ხარ...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბადრი ძევანიშვილი

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.43

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.